ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან · № 28 (831) · შაბათი, 12 თებერვალი, 1994 წელი · ფასი 1000 კუპონი.

სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს

ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო!

გახლავართ ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილი საქართველოს დემოკრატიის მხარდამჭერი კომიტეტის წევრი, რომელსაც ბატონები შულცი და ბეიკერი ხელმძღვანელობენ. შარშან ჩვენმა ფონდმა, შიმშილის მოხსნის ორგანიზაციამ, თბილისში ათასობით ობოლსა და მრავალშვილიან ოჯახს გამოუგზავნა და ამჟამადაც უგზავნის პროტეინის მაღალი შემცველობის თითქმის 7 მილიონ ულუფის 19 კონტეინერს.

ჩვენი ფონდი მუშაობდა მალტელ რაინდებთან და გორბაჩოვის ფონდთან საქართველოს ბავშვებისათვის 60 ათასი ვაქცინის დოზის მისაწოდებლად.

1994 წლისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტს შევთავაზეთ საქართველოს გაუგზავნოს დამატებითი საკვები და გაზარდოს დახმარების მიმღები მოსახლეობის რაოდენობა პენსიონერებისა და ლტოლვილების სახით.

ველოდები თქვენთან შეხვედრას ვაშინგტონში თქვენი ვიზიტის დროს, რათა განვიხილოთ საქართველოს დახმარების ეს მომავალი პროგრამა.

ჯილბერტ ა. რობინსონი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში — 47757200 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში — 45452749 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 2304451 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
ვახტანგ რჩეულიშვილი.

თბილისი. 1994 წლის 10 თებერვალი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

თავდაცვის მინისტრის ფუნქციების დროებით შეთავსების შესახებ

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო აუცილებელია საგანგებო ღონისძიებების განხორციელება ეროვნული არმიის ფორმირების პროცესის დასაჩქარებლად, მისი ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად და სამხედრო დოქტრინის შესაქმნელად, გადავწყვიტე დავეთანხმო საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის თხოვნას და დროებით, როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, შევითავსო საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ფუნქციები. სახელმწიფოს ყველა შეიარაღებული ფორმირება შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის უშუალო დაქვემდებარებაში ითვლება.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1994 წლის 11 თებერვალი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

გენერალ-მაიორ გ. ყარყარაშვილის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

დაკმაყოფილდეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის გენერალ-მაიორ გიორგი ყარყარაშვილის 1994 წლის 31 იანვრის განცხადებაში ჩამოყალიბებული თხოვნა და განთავისუფლდეს იგი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოვალეობისაგან პირადი განცხადების საფუძველზე.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1994 წლის 11 თებერვალი.

მომხდარი გვაფიქრებინებს, რომ აფხაზი სეპარატისტების სამხედრო მოქმედებების ესკალაცია მიმართულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ნორმალიზაციის პროცესის ჩაშლისკენ და კავკასიის რეგიონში საყოველთაო მშვიდობის დამყარების წინააღმდეგ.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განცხადებიდან.

თანამეგობრობის ჰარმონიული განვითარების მიზნით

საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის საელჩოს პრესსამსახურის ცნობით, გაიმართა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის სხდომა, რომელზეც განიხილეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოებთან რუსეთის ურთიერთობის ძირითად მიმართულებათა მომზადების საკითხები. სხდომის მონაწილეთა გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან ურთიერთობას პრიორიტეტული ადგილი უკავია რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, რაც, უწინარეს ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ აქ უშუალოდ თავმოყრილია მისი საარსებო ინტერესები ეკონომიკის, უშიშროების, რუსეთელთა უფლებების დაცვის დარგში, ყოფილი სსრ კავშირის სივრცეზე სტაბილურობის უზრუნველყოფის საჭიროებასთან თანამეგობრობის ყველა ქვეყნის მოსახლეობის ინტერესებისათვის.

ორატორთა აზრით, თანამეგობრობის განვითარების მთავარი ამოცანა უნდა იყოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე ქვეყნების თანამშრომლობის ყველა სფეროს ჰარმონიული განვითარება. ამისთვის თანამიმდევრულად უნდა შეიქმნას თანამეგობრობის მთლიანი ინტეგრაციული სტრუქტურა. უწინარეს ყოვლისა ეს ეხება ეკონომიკურ სფეროს, რადგან ღრმა საერთო კრიზისის დაძლევა შეიძლება მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით.

ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანდათანობითი წინსვლა ახალ საბაზრო საფუძველზე ერთიანი ეკონომიკური სივრცისაკენ ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის მეშვეობით, კანონმდებლობის დაახლოება ფულადი მიმოქცევის, ფინანსების, ინვესტიციების, საბაჟო პოლიტიკის, ფასწარმოქმნის, დაბეგვრის, მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის სფეროში.

სამხედრო-პოლიტიკურ დარგში ყურადღების ცენტრში იდგა შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მოწესრიგების, კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის ეფექტიანი მექანიზმების ფორმირებასთან დაკავშირებული ამოცანები, ამასთან ძირითადი ყურადღება დაეთმო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ყველა სახელმწიფოში სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით სამშვიდობო ფუნქციებს. ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს წინააღმდეგობათა მოწესრიგების სამშვიდობო, პოლიტიკურ-დიპლომატიურ ხერხებს.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში პრობლემათა ფართო სპექტრი უნდა გადაიჭრას ჰუმანიტარული თანამშრომლობის ხაზით, კერძოდ, რეალურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოფილი სსრ კავშირის ყველა მოქალაქისათვის, მათი ეროვნული თუ სხვა განსხვავებების მიუხედავად, თანაბარი უფლებები და თავისუფლებები, უზრუნველყოფილი იქნეს აგრეთვე თვითგამოხატვის, ეთნიკური, კულტურული, ენობრივი თავისთავადობის დაცვისა და განვითარების უნარი. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში რუსეთელთა უფლებებისა და ინტერესებისათვის ზრუნვა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

თანამეგობრობის სახელმწიფოებთან რუსეთის ურთიერთობისადმი ასეთმა მიდგომამ შეიძლება შექმნას პერსპექტივაში რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციის აშენების რეალური შესაძლებლობა მთლიანი ინტეგრირებული სტრუქტურის სახით, რომელსაც შეეძლება უზრუნველყოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში.

კოლეგიის დროს გამოთქმული შენიშვნები და წინადადებანი გათვალისწინებული იქნება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მიმართ რუსეთის საგარეო-პოლიტიკური კონცეფციის ძირითად მიმართულებათა შემუშავებისას ქვეყნის ხელმძღვანელობის განსახილველად მისი შეტანისათვის.

ამ თათბირის შედეგების მიხედვით დაამტკიცეს ღონისძიებათა გეგმა, რომლის რეალიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს თანამეგობრობის სახელმწიფოებთან რუსეთის თანამშრომლობის განმტკიცებას.

ყოფილი თავდაცვის მინისტრი ოპტიმისტურად არის განწყობილი

უახლესი პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე სენსაციურ მოვლენასთან — რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მიერ გადადგომის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული მთელი მითქმა-მოთქმა გააბათილა თვითონ მინისტრმა, თუმცა, ამჟამად უკვე ყოფილმა, 11 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე. სწორედ 11 თებერვალს, ათდღიანი დაყოვნების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა დააკმაყოფილა თავდაცვის მინისტრის განცხადება გადადგომის თაობაზე. ამ უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტთან დაკავშირებით გამართულ საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გიორგი ყარყარაშვილმა განმარტა ამ, მისივე თქმით, არცთუ იოლი გადაწყვეტილების მიღების მიზეზები. განსაკუთრებით საინტერესო ამბების მოყვარულთ გააწბილებდა სამხედრო უწყების ხელმძღვანელის უაღრესად მარტივი და ადამიანური ახსნა: მე მაშინ დავინიშნე თავდაცვის მინისტრად, როცა ძალიან უჭირდა საქართველოს, დავთანხმდი, რადგან მჯეროდა, რომ რაღაცას შევძლებდი. შესაძლოა, ჯარისკაცმა უფრო მეტი გავაკეთე, ვიდრე მინისტრმა, ყოველ შემთხვევაში, საომარ სიტუაციაში მე ამ პოსტს მოვერგე. მაგრამ ახლა, როცა სრულიად განსხვავებული, აღმშენებლობითი პროცესი დაიწყო ქვეყანაში, მიმაჩნია, რომ ამ თანამდებობაზე ყოფნისათვის გამოცდილება, ცოდნა და ენერგია ამ ეტაპზე აღარ მეყოფა.

მომავლის გეგმებთან დაკავშირებით ბატონმა გიორგი ყარყარაშვილმა აღნიშნა, რომ, ჯერჯერობით, საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია, თუმცა ერთი რამ უდავოა— სამხედრო საქმეს ვერ მოსწყდება. მე იმედი მაქვს, რომ ქართული ჯარი მოკლე ხანში ბევრად უკეთესი იქნება, ვიდრე დღეს არის, — თქვა მან. — ამგვარი ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს ჩვენი შეიარაღებული ძალების განწყობილება, მისი ერთსულოვნება. მე სერიოზულად მაფიქრებდა, თუ როგორ შეაფასებდნენ ჩემს ნაბიჯს ჩემივე თანამებრძოლები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ყველა გაგებით მოეკიდება ამ ფაქტს და იგი უარყოფით რეზონანსს არ გამოიწვევს.

კითხვას, როგორ აფასებს საქართველოსა და რუსეთს შორის სამხედრო ხელშეკრულების დადებას, ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ერთმნიშვნელოვნად უპასუხა, რომ მეზობელ სახელმწიფოსთან სამხედრო თანამშრომლობის ნებისმიერი ფორმა მისაღებია, თუკი ის სასარგებლოდ წაადგება საქართველოს მთლიანობის შენარჩუნების საქმეს. მით უმეტეს, რომ იმ უაღრესად სავალალო მდგომარეობაში, რომელშიც არის ჩავარდნილი ამჟამად ქართული ჯარი, რუსეთს ფასდაუდებელი დახმარების გაწევა შეუძლია.

მაია ალუდაური,
საქინფორმის კორესპონდენტი.

ბოლო სვეტი

თბილისელ მოქალაქეთა საყურადღებოდ!

ელექტროენერგიის უმწვავესი დეფიციტის გამო თბილისელები ახალი, გამკაცრებული გრაფიკით მიიღებენ სინათლეს.

ამ გრაფიკის მიხედვით: დილის 6-დან 8 საათამდე ელექტროენერგია ჩართული ექნება ყველას; 13.30-საათიდან 16.00 საათამდე — მხოლოდ იმ უბნებს, სადაც სახლებში გაზქურების ნაცვლად დამონტაჟებულია ელექტროქურები; 22.00 საათიდან 01.00 საათამდე კვლავ ყველას ჩაურთავენ სინათლეს. დღეღამის დანარჩენ დროს ელექტროენერგია გამორთული იქნება.

თბილისის მეტროპოლიტენი იმუშავებს დილის 6 საათიდან საღამოს ცხრის ნახევრამდე (20.30 საათამდე).

საბოლოოდ ასე დადგინდა გუშინ „საქენერგოში" გამართულ ოპერატიულ თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ „საქენერგოს", „საქგაზის" დეპარტამენტების, თბილისის მერიის, ქალაქის პოლიციის ხელმძღვანელები, ცალკეული სამსახურების უფროსები, თბილისის რაიონების გამგებლები.

თათბირს უძღვებოდა ვიცე-პრემიერი ზურაბ კერვალიშვილი.

ამ გრაფიკის დასაცავად საჭიროა სულ ცოტა 14 მილიონი კილოვატსაათის გამომუშავება. ელექტროენერგიის გენერაციის ძირითადი წყაროს — თბილსრესის საწვავით უზრუნველყოფის მიზნით ბუნებრივი აირის მიწოდება, სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებისა და მოსახლეობის გარდა, ყველას შეუწყდება.

არსებული რეზერვების (ადგილობრივი ელექტროსადგურები და სხვა) ასამოქმედებელი სამუშაოები მთავრდება, ქალაქის პოლიცია ყველა ღონეს იხმარს ქვესადგურების პერსონალის დასაცავად.

თბილისელებს სთხოვენ მაქსიმალური მომჭირნეობით ხარჯონ ელექტროენერგია.

ომის ექო

ზურაბ პაპასქირის ასი მძიმე დღე

ᲥᲐᲠᲑᲐ ხანია დაუსწრებლად ვიცნობდი, როგორც სერიოზულ მკვლევარსა და მებრძოლ პუბლიცისტს. წაკითხული მქონდა მისი გახმაურებული მონოგრაფია „ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი", რომელმაც დასტამბვის უმალ მიიქცია სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება, მახსოვდა მისი უკომპრომისო საგაზეთო პუბლიკაციები აფხაზურ-ქართული ურთიერთობის გამყალბებელთა წინააღმდეგ.

გაცნობით კი შარშან მაისში გავიცანი სოხუმში, მე-2 საარმიო კორპუსის პირად შემადგენლობასთან აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილებაში. კაპიტნის მუნდირს ვერ შეეცვალა პროფესორ ზურაბ პაპასქირის სულით ხორცამდე სამოქალაქო გარეგნობა. მაგრამ ეს „წიგნის ჭია" მეცნიერი და დახვეწილი ინტელიგენტი უდრტვინველად იტანდა სამხედრო ცხოვრების უხერხულობასა და სიძნელეს. მაშინ ბევრი ვისაუბრეთ ამ ომის უჩინარ და ხილულ ფესვებზე, შესაძლო პერსპექტივებზე.

მეორედ ივლისში, ტამიშთან დესანტის განადგურების დღეებში შევხვდი. დინჯად და აუღელვებლად მიამბობდა ყოველი მხრიდან ბლოკირებული ქალაქის თავს გადახდენილ სიძნელეებზე. სულიერი მხნეობა არც სოხუმის დაცემის საშიშროების დღეებში დაუკარგავს და არც დესანტის განადგურებისა და ბლოკადის გარღვევის შემდგომ საყოველთაო აჟიოტაჟს აჰყოლია — მეცნიერი ისტორიკოსის ანალიტიკური გონებით ხედავდა ომის წიაღში ამოწვერილ საფრთხეებს.

შემდეგ 27 სექტემბრის კატასტროფა...

ობა გაზეთებიდან: „აფხაზმა სეპარატისტებმა დააპატიმრეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, 48 წლის პროფესორი ზურაბ პაპასქირი."

ბრალდება — ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივება.

ბიოგრაფიული — დაიბადა [illegible] წელს ზუგდიდში. იქვე მიიღო საშუალო განათლება. 1972 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1973-[illegible] წლებში სწავლობდა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1978 წელს იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „საქართველო და აღმოსავლეთ ევროპა XI-XII ს." (ამ პრობლემის კვლევისათვის 1982 წელს მას მიენიჭა ახალგაზრდა მეცნიერთათვის დაწესებული საქართველოს კომკავშირის [illegible], რამაც აფხაზ სეპარატისტებში გამოიწვია [illegible] ნაშრომში სეპარატისტული კონიუნქტურის საწინააღმდეგო შეხედულებების გან[illegible], აფხაზეთიდან [illegible] გასახლების საკითხიც კი [illegible]).

სოხუმში სამუშაოდ 1976 წელს [illegible] იყო სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (შემდგომ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი) მასწავლებელი, [illegible] კათედრის გამგის მოადგილე, 1989 წლიდან — თბილისის [illegible]სიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე. 1991 [illegible] დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა (X ს. 70-იანი — XI ს. 80-იანი წლები)". 30-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის 3 მონოგრაფიისა.

1977 წლიდან აქტიურად იყო ჩაბმული სეპარატისტებთან „იდეოლოგიურ-ისტორიოგრაფიულ ომში" — მთელი 16 წელიწადი მოთავეობდა აფხაზეთში მოღვაწე ქართველ ისტორიკოსთა ბრძოლას ჭეშმარიტების გამყალბებელთა წინააღმდეგ. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

16 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ საომარ მოქმედებათა განახლება, როგორც სოხუმელთა უმრავლესობისთვის, ზურაბისთვისაც თავზარდამცემი იყო. სჯეროდა, რომ სოჭის 27 ივლისის შეთანხმება შედეგს გამოიღებდა (რუსეთი იძლეოდა გარანტიას!). არადა, სოხუმი ცხოვრების მშვიდობიან რიტმს უბრუნდებოდა. რაკი 1 სექტემბერს ფილიალში სწავლა დაიწყო, პრაქტიკულად, სამხედრო სამსახური მიატოვა და სალექციო კათედრას დაუბრუნდა.

ომის განახლებამ ისე დამთრგუნველად იმოქმედა, რომ ჰიპერტონიული კრიზი დაემართა და მთელი ხუთი დღე საწოლიდან თავი ვერ წამოსწია. მხოლოდ 21 სექტემბერს მივიდა კორპუსის შტაბსა და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში. ორივეგან აშკარა დაბნეულობა იხილა. ჰოდა, ახალი რაიონიდან — გუმისთაზე გამავალი ფრონტის ხაზიდან ოჯახის უფრო უხიფათო ზონაში გამოხიზვნა (არა სოხუმიდან გაყვანა!) გადაწყვიტა. მან და მისმა მეზობელმა, საარმიო კორპუსიდან თანამოსამსახურემ რენო სურმავამ ოცდაორში მანქანაც იშოვეს, მაგრამ იქაურობა მაინც არ დატოვეს: შტაბის ორი ოფიცერის ოჯახის გასვლას მთელი იმ უბნის ქართული მოსახლეობის პანიკა შეიძლება მოჰყოლოდა (რადიო ხომ დაბეჯითებით იუწყებოდა, მაშველი ძალა წუთი-წუთზე შემოვა ოჩამჩირის მხრიდან და არა თუ სოხუმს შევინარჩუნებთ, ფსოუმდე გავალთო). მათმა მეუღლეებმაც ივაჟკაცეს, ჩვენი წასვლა არასგზით არ ეგებისო. 26 სექტემბრამდე სჯეროდათ, რომ მშველელი მოვიდოდა.

27 სექტემბერი მისი ცხოვრების ყველაზე მძიმე, ყველაზე სასოწარკვეთილი დღე იყო. ბინის ფანჯრებიდან უყურებდა „გამარჯვების ფეიერვერკს", აალებულ სოხუმს და მაშინ იყო, კინაღამ სულმოკლეობამ რომ სძლია, მხოლოდ ოჯახზე ფიქრმა აღებინა ხელი თვითმკვლელობაზე.

ოცდამეშვიდეს მოადგნენ მის ბინას აფხაზი მეომრები, მადლობა ღმერთს — მათივე კარის მეზობლები. ცუდი არაფერი უკადრებიათ, პირიქით, მფარველობა აღუთქვეს და შეასრულეს კიდეც. ძველმა ნათლობა-მირონმა შეასრულა თავისი როლი, იმანაც, რომ ზურაბის მეუღლე ქალბატონი ნონა პედიატრია და ბევრზე ჰქონდა ამაგი. მთელი 10 დღე მალეს აფხაზმა მეზობლებმა ზურაბი, არადა მას, სოხუმში კარგად ცნობილ კაცს, გაფაციცებით ეძებდნენ. ბოლოს, 7 ოქტომბერს, დააპატიმრა სეპარატისტთა უშიშროების სამსახურმა ის და რენო სურმავა.

იმ დღის ბეწვზე გადურჩა სიკვდილს: შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორში მიყვანისას იქ მყოფ ბოევიკთაგან ერთ-ერთმა, მისმა ყოფილმა სტუდენტმა, იცნო და ავტომატი მოუღერა. იზოლატორის მორიგის სიმარჯვე რომ არა (სასწრაფოდ შეაგდო საკანში და კარი ჩაურაზა), ადგილზე მიახვრეტდა.

ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ, თუ პირველი დღეების უმნიშვნელო ინციდენტებს არ ჩავთვლით. მასაც და სხვებსაც საკმაოდ კორექტულად ექცეოდნენ. აი, გარედან ანგარიშსწორების საფრთხე კი იყო, სანამ საერთაშორისო წითელმა ჯვარმა მასზე კონტროლი არ დააწესა.

...საკნის მობინადრენი თითქმის ყოველდღიურად იცვლებოდნენ. ძირითადად მოწმდებოდა მათი ომში მონაწილეობის საკითხი. ერთი კვირის, 10 დღის შემოწმების შემდეგ ათავისუფლებდნენ, ავტობუსებში სვამდნენ და ზუგდიდისაკენ ამგზავრებდნენ. გაათავისუფლეს რენო სურმავაც (მისი ქალ-ვაჟი აფხაზმა მეზობლებმა სოხუმის დაცემის პირველ დღეებშივე გაიყვანეს ადლერში, ზურაბის დედა კი — ზუგდიდში. ქალბატონ ნონას გამოპარება გაჭირდა, მაგრამ 23 ოქტომბერს იმასაც გამოაღწევინეს).

სამჯერ დაჰკითხა უშიშროების სამსახურის გამომძიებელმა. დაკითხვას ერთობ ინტელიგენტურად წარმართავდა. გამოძიება მალე დარწმუნდა, რომ ამ მეცნიერ კაცს კრიმინალს ვერ უპოვნიდნენ, რომ იურიდიული თვალსაზრისით მისი „საქმე" უპერსპექტივო იყო. ის კი, პოლიტიკური ოპონენტი და, დღევანდელი აფხაზეთის ხელმძღვანელობის კურსის შეურიგებელი მოწინააღმდეგე რომ იყო, ზურაბს არც დაუმალავს. 15 ნოემბერს ხუთი საათი დაჰკითხავდა აფხაზეთის რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი სერგეი ბგანბა. დაკითხვა საკმაოდ მძიმედ დაიწყო (ს. ბგანბას ვაჟი დაიღუპა ომში), მაგრამ მტრული ატმოსფერო ჩქარა განიმუხტა. პროკურორი დარწმუნდა, რომ პატიმარს ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივების ბრალდებას ვერ დაუმტკიცებდა, არც უცდია მისი „გამოჭერა", ყალბი სამხილის მოშველიება. ის კი არა, იმაზე ჩამოუგდო ლაპარაკი, თუ რა გზით დაეტოვებინა აფხაზეთი გათავისუფლების შემდეგ.

მაგრამ საკანი არა და არ იღებოდა. უფრო მეტი, 3 დეკემბერს მოულოდნელად, ბგანბას დავალებით, მასთან პროკურატურის გამომძიებელი გამოცხადდა ადვოკატთან ერთად და ოფიციალურად წაუყენა ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივების ბრალდება, თუმცა იქვე დაამშვიდა, ეს ფიქტიურად ხდება, ხვალ ინგურთან გაგცვლითო.

ამ „ხვალის" შემდეგ თითქმის თვე გავიდა. ერთმანეთს მიჰყვა გაურკვევლობის ერთფეროვანი დღეები. დახშულმა საკანმა, პურისა და ჩაის დიეტამ, ნესტმა და სიცივემ თავისი გაიტანა და ფიზიკურად გასტეხა. რამდენჯერმე მიმართა პროკურორს, თუ აფხაზეთის ხელისუფლებას სჭირდება ხმაურიანი პოლიტიკური პროცესი, მზად ვარ, ოღონდ თავდებით გამათავისუფლეთ, რათა სათანადოდ მოვემზადოო.

6 იანვარს პროკურატურამ გადაწყვეტილება გამოიტანა მისი თავდებით გათავისუფლების შესახებ (და არა საქმის ძიებით შეწყვეტით). 9, 10 და 11 იანვარს საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენელი ამაოდ ცდილობდა ზურაბის გამოყვანას. ჩანს, სეპარატისტები ჟენევის მოლაპარაკების მეორე რაუნდის შედეგს უცდიდნენ.

და აი, 14 იანვარს, როგორც იქნა, გაიღო საკნის კარი. ახლაღა გაარკვია, ეს გათავისუფლება მისი უდანაშაულობის კი არა, იმის შედეგია, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბორის პასტუხოვმა 5 იანვარს, გუდაუთაში ყოფნისას, მისი საკითხი კატეგორიულად დააყენა გუდაუთის ხელისუფალთა წინაშე, რასაც საქართველოს ხელისუფლების, ფართო საზოგადოებრიობის, სამეცნიერო წრეების დიდი მცდელობა უძღოდა.

იმავე დღეს საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენელმა ზურაბი ადლერში ჩაიყვანა მანქანით, სადაც მას ამ ორგანიზაციის ამიერკავკასიის მისიის მეთაური მიშელ მეიერი დახვდა. შემდეგ საჰაერო რეისი თბილისისაკენ...

ამ დღეებში ვინახულე თბილისში, ნათესავების ბინაში მეუღლესთან ერთად თავშეფარებული პროფესორი. წვერმოშვებული, გაცრეცილი კაცი უცებ ვერც მივამსგავსე სოხუმური შეხვედრებიდან ხსოვნაში ჩარჩენილ ხალისიან, მზით გარუჯულ კაპიტანს...

— და მაინც, ამდენი წვალების, სიკვდილის თვალებში ჩახედვის შემდეგ, როგორ გესახებათ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების გზები? — ვკითხე ბატონ ზურაბს.

— დაახლოებით ამგვარ კითხვაზე წერილობით პასუხის გაცემა მთხოვა გამომძიებელმა სოხუმის იზოლატორში შარშან, ნოემბრის დასაწყისში. მაშინაც ცალსახად აღვნიშნე, რომ კონფლიქტის მოგვარებისა და აფხაზური პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა მშვიდობიანი მოლაპარაკების გზაა. ამას ვინმე დაშინებული პატიმრის პასუხად ნუ მიიჩნევს. მე რომ მშიშარა ვყოფილიყავი, იქიდან პირველი გამოვიქცეოდი და მაშველის მოლოდინში ახალ რაიონში, ფრონტისპირა ხაზზე არ ჩავრჩებოდი. ასე რომ, ეს არ იყო კონიუნქტურული მოსაზრება. ამ დასკვნამდე მიმიყვანა ყოველივე იმის გაანალიზებამ, რაც აფხაზეთში მოხდა.

ქართველები ცოტა უცნაური ხალხი ვართ, არ გვჩვევია წარსულის გაკვეთილებიდან დასკვნების გაკეთება, ერთი და იგივე შეცდომას ხშირად ვიმეორებთ. განა არ ვიცით, ვინ დაგვამარცხა აფხაზეთში? განა ის ფაქტორები (რუსეთი, ჩრდილოეთ კავკასია) უკვე აღარ არსებობს? ხომ უნდა გავიგოთ, ბოლოს და ბოლოს, რომ სანამ არ მოხერხდება რუსეთის ნეიტრალიზება მაინც, სამხედრო აქციებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. სამწუხაროდ, ეს ყველას არ ესმის. ამ თვალსაზრისით, მე განსაკუთრებით მაფიქრებს საქართველოს პარლამენტის რადიკალური უმცირესობის აგრესიულობა, რაც გადაედო აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭოსაც (რომლის ერთ-ერთი წევრი მეც გახლავართ). რატომღაც ისე მგონია, და საგანგაშო სწორედ ეს არის, რომ გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს, როგორც პარლამენტში, ისე მის გარეთ, უფრო აფხაზეთის ირგვლივ ხმაური აინტერესებთ და არა ამ პრობლემის რეალური გადაჭრა. მაშ, რას უნდა მივაწეროთ ყოვლად მიუღებელი მისწრაფებები შიმშილობისა და ხელისუფლების საწინააღმდეგო სხვა საპროტესტო აქციების მოწყობის შესახებ?

მე არავისზე ნაკლებად არ მესმის, თუ რომელი გზაა იდეალური აფხაზეთის საკითხის (თუ ნებისმიერი მსგავსი პრობლემის) მოგვარებისათვის, მაგრამ ისიც ხომ აშკარაა, რომ დღევანდელ საქართველოს არჩევანის საშუალება არა აქვს. სამწუხაროდ, დღეს საქართველო ვერ გაატარებს დავითის პოლიტიკას. ამისათვის არც შინაგანად ვართ მზად — ქვეყანა ეკონომიკური კატასტროფის ზღურბლზეა და, რაც მთავარია, არც საამისო საგარეო-პოლიტიკური პირობები არსებობს. მეტიც: მე, როგორც პროფესიონალი ისტორიკოსი, ისიც უშუალოდ დავით აღმაშენებლის ეპოქის სპეციალისტი, კატეგორიულად ვაცხადებ: დავითიც კი ვერ იდავითებდა, ბიზანტიის იმპერია რომ არ დაუძლურებულიყო და სელჩუკეთი არ დაშლილიყო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დავით აღმაშენებელმა, სანამ სელჩუკთა წინააღმდეგ აქტიურ ომს დაიწყებდა, 10 წელიწადი მაინც მოანდომა ქვეყნის დაწყნარება-დალაგებას.

ჟენევის მოლაპარაკებას, რასაკვირველია, გააჩნია უარყოფითი მხარეები, მაგრამ რეალობიდან უნდა გამოვიდეთ და ამ ეტაპზე გამოვიყენოთ ის პოზიტიური, რაც უდაოდ ძევს მასში.

თუ გალში 1-2 თვეში ხალხს შევიყვანთ, ეს დიდი დარტყმა იქნება აფხაზი ექსტრემისტებისათვის, მათთვის დიდი დარტყმაა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის თბილისში ვიზიტისას ხელმოწერილ დოკუმენტში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებაც. ამას არ შეიძლება არ მოჰყვეს შუღლი და რღვევა სეპარატისტთა შორის. გამარჯვებით გამოწვეულმა ეიფორიამ მათ უკვე გაუარა. დღეს გუდაუთა ეყრდნობა მხოლოდ ექსტრემიზმს და მტკიცებას, გავიმარჯვებთო. როცა ეს ერთადერთი „არგუმენტი" გამოეცლებათ, არძინბა პოლიტიკურ ლემად იქცევა, რადგან აღარაფერი დარჩება მისი „დიდი მიზნისაგან" — აფხაზეთი ჩამოაცილოს საქართველოს. აი, მაშინ საინტერესო პროცესები დაიწყება აფხაზეთში, ეს დრო შორს არ არის.

აქ მინდა ერთი შეხვედრა გავიხსენო. 19 ოქტომბერს, ჩემი მოთხოვნით, საგამოძიებო იზოლატორში მინახულეს გუდაუთის მთავრობის წევრმა ბესლან კობახიამ და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატმა, ჩემმა კოლეგამ დაურ ბარგანჯიამ. ეს ის დრო იყო, როცა დასავლეთ საქართველოში, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. და აი, მათ მე, აბსოლუტურ ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფი კაცი, „ნოკაუტში ჩამაგდეს", საქართველო ინგრევა და აფხაზეთი დამოუკიდებლობას იღებსო. სიხარულს ვერ მალავდნენ, ერთ-ორ დღეში ჭობალია ქუთაისს დაიკავებს და ამის შემდეგ საქართველო მინიმუმ 5 ნაწილად დაიშლებაო. არ დაგიმალავთ, პირიქით, ხაზიც გაუსვეს აფხაზთა და ჩეჩენთა მონაწილეობას ჭობალიას „ლაშქრობაში". საინტერესოა, რომ მოგვიანებით, 15 ნოემბერს, როცა ჭობალიას „ლაშქრობა" უკვე ჩაფუშული იყო, პროკურორმა ბგანბამ, ჩემი დაკითხვის დროს, უარყო აფხაზთა მონაწილეობა ამ ავანტიურაში და საკმაო ინტერესით მოისმინა ჩემი მოსაზრება აფხაზურ-ქართული ურთიერთობის მომავალზე.

— თქვენ გჯერათ, რომ აფხაზეთში დაბრუნდებით?

— დარწმუნებული ვარ! ეს მძიმე, მტკივნეული პროცესი იქნება, მაგრამ გარდაუვალია! ამაში ისტორიის ლოგიკა და მოვლენათა განვითარების კანონზომიერება მარწმუნებს.

ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲡ ბატონმა ზურაბმა მთხოვა, „საქართველოს რესპუბლიკის" საშუალებით გადაეცით მადლობა ყველა იმ პირს, ორგანიზაციასა და საინფორმაციო საშუალებას, საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, რომლებმაც ყველაფერი იღონეს ჩემს გამოსახსნელადო.

მათ მართლაც ეკუთვნით ეს მადლობა!

ალეკო ასლანიშვილი.

ქვეყნის მომავალი რეფორმების განხორციელებასა და ეკონომიკის გამოცოცხლებაზეა დამოკიდებული

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გაფართოებულ სხდომაზე 1994 წლის 9 თებერვალს

დღევანდელ სხდომაზე ცალკე საკითხად განიხილება 1994-1995 წლების ინდიკატური გეგმის პროექტი და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის განახლებული რედაქცია. ჩემს მოხსენებაში მე შევეხები გასული წლის უმთავრეს სამეურნეო შედეგებსა და იმ უმწვავეს პრობლემებს, რომლებიც გადაუდებელ გადაწყვეტას საჭიროებს.

შარშან, რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგებისა და რეფორმის ხაზით, რაც უპირატესად შესაბამისი სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის მომზადებაში გამოიხატა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანწილად დასძლია ქვეყნის ხანგრძლივ იზოლაციაში ყოფნის მდგომარეობა, საგარეო-ეკონომიკური თანამშრომლობის კარგი პერსპექტივები დაისახა ინდუსტრიულად მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან; დსთ-ში შესვლით და რუსეთთან ფართომასშტაბიანი ხელშეკრულების გაფორმებით შეიქმნა რესპუბლიკისათვის სამეურნეო განვითარების ხელსაყრელი გარემო და სხვა.

ამასთან, ცნობილი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური, შიგა თუ გარეშე ფაქტორების გამო ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ეკონომიკის მასტაბილიზებელი მექანიზმების ამოქმედება, ვერ იქნა დაძლეული ენერგეტიკული კრიზისი. შედეგი კი ის გახლავთ, რომ სამეურნეო ბრუნვიდან გამოთიშულია ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი, კრიზისმა სისტემურ-სტრუქტურული ხასიათი მიიღო, რაც 1993 წელს 1992 წელთან შედარებით მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დაახლოებით განახევრებაში გამოიხატა. კერძოდ, რესპუბლიკის შიდა პროდუქტი შარშან 46 პროცენტით, ხოლო ეროვნული შემოსავალი 54 პროცენტით შემცირდა და 1964-1965 წლების დონემდე დაეცა. თითქმის ოცდაათი წლის წინანდელ დონემდეა შემცირებული საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება. ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის მეტად საშიშ პერსპექტივებს ქმნის ის გარემოება, რომ რესპუბლიკაში ფაქტობრივად შეწყვეტილია ინვესტიციები საწარმოო სფეროში. 1993 წელს დაგროვებას მოხმარდა მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 10 პროცენტი. სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებით ამოქმედებული ძირითადი ფონდების სიდიდე 1992 წლის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 6,6 პროცენტს შეადგენს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ფონდუკუგების მაჩვენებელი 45 პროცენტით შემცირდა, ხოლო მასალაშემცველობა 30 პროცენტით გაიზარდა.

თანდათან მოგვეძალა უმუშევრობის პრობლემა, მაღალი ინფლაციისა და სამომხმარებლო რესურსების შეზღუდულობის პირობებში **უკიდურესად დაბალია მოსახლეობის უმეტესობის ცხოვრების დონე, გარკვეულ ფენებში შიმშილის პრობლემა რეალობად იქცა.**

მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი პრობლემები დაგროვდა მატერიალური სფეროს დარგების განვითარებაში. ეკონომიკური თუ არაეკონომიკური, შინაგანი თუ გარეგანი მადესტაბილიზებელი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად 1993 წელს სამეურნეო ბრუნვიდან გამოითიშა და თვეების მანძილზე უმოქმედოდ იყო რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი, რამაც ბუნებრივად გამოიწვია წარმოების მოცულობების შემდგომი დაქვეითება მატერიალური წარმოების ყველა დარგსა და კომპლექსში.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ჩამოყალიბდა აგრარულ სექტორში. შემცირდა პირუტყვისა და ფრინველის სულადობა და პროდუქტიულობა, დაეცა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების როგორც წარმოების, ისე სახელმწიფო საჭიროებისათვის მიწოდების მაჩვენებლები. მოვიტან რამდენიმე ციფრს: 1993 წელს სახელმწიფოს მიეწოდა 6,8-ჯერ ნაკლები მარცვლეული, 7-ჯერ ნაკლები კარტოფილი, თითქმის 3-ჯერ ნაკლები ბოსტნეული, 13,8-ჯერ ნაკლები ხილი, ვიდრე წინა წელს. რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის კრიზისიდან გამოყვანის სამწლიანი პროგრამა, რომელიც მინისტრთა კაბინეტის სპეციალური დადგენილებით იყო დამტკიცებული, ითვალისწინებდა 1993 წელს 300 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, 365 ათასი ტონა ყურძნის, 360 ათასი ტონა ხილის, 10 ათასი ტონა თამბაქოს და 180 ათასი ტონა ციტრუსების დამზადებას. სახელმწიფოს რესურსებში კი მოექცა მხოლოდ 132 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ დავალების 44 პროცენტი, 71 ათასი ტონა ყურძენი (20), 10 ათასი ტონა ხილი (2,7), 36 ათასი ტონა ციტრუსი (20), 600 ტონა თამბაქო (6 პროცენტი). აღნიშნულ სახეობათა პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი გაიყიდა სახელმწიფოს გვერდის ავლით, კერძო სტრუქტურების მეშვეობით. მნიშვნელოვნად შემცირდა სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადების მაჩვენებლებიც. რესპუბლიკის რიგი რაიონები საერთოდ არ ცნობენ სახელმწიფო საჭიროებისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების აუცილებლობას. მაგალითად, შარშან, ახალქალაქის, ნინოწმინდის, დედოფლისწყაროს, სიღნაღისა და წალკის რაიონების სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქციის პრაქტიკულად მთელი მოცულობა სახელმწიფოს გვერდის ავლით იქნა რეალიზებული.

თანდათან მოგვეძალა უმუშევრობის პრობლემა, უკიდურესად დაბალია მოსახლეობის უმეტესობის ცხოვრების დონე, გარკვეულ ფენებში შიმშილის პრობლემა რეალობად იქცა.

მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი პრობლემები დაგროვდა მატერიალური სფეროს დარგების განვითარებაში. ეკონომიკური თუ არაეკონომიკური, შინაგანი თუ გარეგანი მადესტაბილიზებელი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად 1993 წელს სამეურნეო ბრუნვიდან გამოითიშა და თვეების მანძილზე უმოქმედოდ იყო რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი, რამაც ბუნებრივად გამოიწვია წარმოების მოცულობების შემდგომი დაქვეითება მატერიალური წარმოების ყველა დარგსა და კომპლექსში.

აგრარულ სექტორში შექმნილი მეტად მძიმე, კრიზისული მდგომარეობა მრავალი ფაქტორით არის განპირობებული. ამ მხრივ აღსანიშნავია, არასტაბილური საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია, რომელმაც თავისი დაღი დაასვა სამეურნეო საქმიანობის ყველა შედეგს, დასაბამი მისცა სახელმწიფო ქონების დატაცებისა და განიავების ტენდენციებს, აგრარული რეფორმის პირველი ეტაპის, სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზების პროცესების ძირითადად არასწორი ფორმით წარმართვას და ა. შ.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებები არ აღმოჩნდა საკმარისი დარგში სტაბილიზაციის მისაღწევად. უფრო მეტიც, სამინისტრო მოუმზადებელი აღმოჩნდა იმ სიძნელეებისა და პრობლემების გადასალახავად, რომლებიც წარმოშვა მიწის პრივატიზებამ, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით ცენტრალიზებული მომარაგების სისტემის მოშლამ, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაციამ. ამჟამად სოფლად დარჩენილ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში პრაქტიკულად არ მოქმედებს რაიმე სამეურნეო მექანიზმი, სარწყავი და დამშრობი სისტემები გაძარცვული და გაჩანაგებულია, მოშლილია წარმოების ტექნიკური ბაზა (მანქანა-ტრაქტორთა უმეტესი ნაწილი მიტაცებული ან გაჩანაგებულია), არ არსებობს კონკრეტული ვალდებულება და პასუხისმგებლობა სახელმწიფოსათვის პროდუქციის მიწოდებაზე, როცა საწარმოთა უმრავლესობის მიერ აღებული სესხების უდიდესი ნაწილი ბოლო წლებში სისტემატურად სახელმწიფო შიგა ვალების ანგარიშში ჩამოიწერება ან 3-5 წლით გადაივადება.

სამინისტროს პასიური პოზიცია უკავია სოფლად საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბების, საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე (კერძო, კოოპერაციული, სააქციო, საიჯარო და ა. შ.) დაფუძნებულ საწარმოთა, ორგანიზების, აგროსერვისის განვითარების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებთან შემხვედრი სახელმწიფო საკონტრაქტო სისტემის დანერგვის საქმეშიც.

წარმოების მოცულობის შემცირების ტენდენცია გაგრძელდა რესპუბლიკის მრეწველობაშიც. წინასწარი მონაცემებით, წინა წელთან შედარებით კლების მაჩვენებელმა 25-26 პროცენტი შეადგინა და 1963 წელს მიღწეულ დონეს გაუტოლდა. აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვნად შეიკვეცა სათბობის, მრეწველობის, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, მსუბუქი, კვების, ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოების მოცულობები.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს ჩამორჩენები ენერგეტიკული მრეწველობის განვითარებასა და ენერგომომარაგებაში. 1993 წელს რესპუბლიკაში გამომუშავებული იყო 9,8 მლრდ კილოვატსაათი ელექტროენერგია, რაც წინა წლის 84 და მთლიანად მოხმარებული ელექტროენერგიის 91 პროცენტს შეადგენდა. მოთხოვნილების ნაწილი დაკმაყოფილებული იყო მეზობელი ენერგოსისტემებიდან მიღებული ელექტროენერგიით. მხოლოდ 68 პროცენტით შესრულდა ნავთობის მოპოვების დავალება, ხოლო სადაზვერვო სამუშაოთა დავალება — 69 პროცენტით. 500 ათასი ტონა ქვანახშირის ნაცვლად შარშან ამოღებულია მხოლოდ 82 ათასი ტონა, მათ შორის სასაქონლო ნახშირი მხოლოდ 21 ათასი ტონა იყო.

მოგეხსენებათ, ენერგეტიკა არის სწორედ ის დარგი, რომლის განვითარებაც განსაზღვრავს მთელი ეკონომიკის, პირველ რიგში მისი მატერიალური სფეროს ამოქმედებას. ამიტომ, ამ დარგის აღმავლობა ეკონომიკის ამოძრავებას უნდა დაედოს საფუძვლად. შექმნილია მთავრობის კომისია, რომელმაც შემჭიდროებულ ვადებში უნდა შეიმუშაოს და აამოქმედოს ენერგეტიკული პროგრამა. ჩვენ კი დღეიდანვე უნდა შევუდგეთ მზადებას, რათა წლეულსვე ძირეული გარდატეხა შევიტანოთ სახალხო მეურნეობის ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფაში. წლეულს უნდა გამოვიმუშაოთ, სულ ცოტა 13-14 მლრდ. კილოვატსაათი ელექტროენერგია. ამ მიზნით, უფრო ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ ჰიდრორესურსები. საჭიროა ჩატარდეს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება.

უახლოეს წლებში, წლეულსვე, მნიშვნელოვნად უნდა გავზარდოთ ქვანახშირის მოპოვება, სრულვყოთ ნახშირის პირველადი დამუშავების ტექნოლოგია. უნდა განხორციელდეს ნავთობის მოპოვების სტაბილიზაციის ღონისძიებანი იმ ვარაუდით, რომ ყოველწლიურად მოვიპოვებდეთ 180-200 ათას ტონა ნავთობს. უნდა გავაფართოოთ ნავთობისა და გაზის ძიების სამუშაოები.

და კიდევ ერთი: დღეიდანვე უნდა შევუდგეთ მზადებას მომავალი სეზონისათვის, ენერგეტიკული უზრუნველყოფისათვის. შემოდგომამდე უნდა შევქმნათ სულ ცოტა 300 ათასი ტონა მაზუთის მარაგი, წესრიგში მოვიყვანოთ ენერგეტიკის ინფრასტრუქტურა. ეს უნდა იყოს ყველა სამინისტროს, უწყების, გაერთიანების, საწარმოს უპირველესი საზრუნავი.

რესპუბლიკის ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად ამძიმებს რესპუბლიკის მრეწველობის ძირითადი დარგების — მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა მუშაობის ძირითადი მაჩვენებლების არასახარბიელო შედეგები. კერძოდ, შარშან, რესპუბლიკაში კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოების მოცულობა თითქმის 40 პროცენტით შემცირდა, ხოლო მსუბუქი მრეწველობისა კი — 2,5-ჯერ. 1993 წელს დამზადებულია 20 ათასი ტონა დაფასოებული ჩაი, ანუ დავალების 27 პროცენტი, 5,6 მლნ. დეკალიტრი ღვინო (56), ჩამოისხა 6 მლნ. ბოთლი შამპანური (40), 30 მლნ. ბოთლი მინერალური წყალი (25), დამზადდა მხოლოდ 50 მლნ. პირობითი ქილა ხილბოსტნეულის კონსერვი (17 პროცენტი), ეს კი, როგორც მოგეხსენებათ, არის არა მარტო რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი პროდუქცია, არამედ ჩვენი ექსპორტის ძირითადი პოზიციები და, მაშასადამე, — აუცილებელი იმპორტის განხორციელების საშუალებაც. ამიტომ, ამ დარგების განვითარებას მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

დამეთანხმებით, რომ მთლიანად მოშლილია ტრანსპორტის მუშაობა, და, სამწუხაროდ, ეს თანაბრად ეხება ყველა სახის ტრანსპორტს. განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა რკინიგზის ტრანსპორტზე. როგორც მისმა ხელმძღვანელობამ უკვე მერამდენედ მოგვახსენა, რესპუბლიკის რკინიგზაზე ნორმალური მდგომარეობის აღსადგენად ათობით მილიარდი რუსული მანეთია საჭირო. ასეთ ვითარებაში, ალბათ, მიზანშეწონილია ვიფიქროთ საქართველოს რკინიგზის აღდგენისა და განვითარების ფონდის შექმნის შესახებ ევროპისა და აზიის, აგრეთვე, დაინტერესებული ქვეყნების მონაწილეობით.

რესპუბლიკაში თითქმის შეწყვეტილია მშენებლობა უსახსრობის გამო. შარშან კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1993 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 1,5 პროცენტს შეადგენდა და ეს თანხებიც არც თუ მიზანმიმართულად იქნა გამოყენებული. ისედაც მწირი გამოყოფილი თანხები იფანტება და არ გამოიყენება დასამთავრებელი ობიექტების ასამოქმედებლად. ამის პირდაპირი შედეგია ის, რომ შარშან საექსპლუატაციოდ არ გადაცემულა არც ერთი მნიშვნელოვანი საწარმოო დანიშნულების ობიექტი, როცა ბევრი მათგანი ჯერ კიდევ 2-3 წლის წინათ უნდა აემოქმედებინათ. მეტად მწირია სოციალური სფეროს დარგებში სიმძლავრეების ამოქმედების მაჩვენებლებიც (105 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, სკოლები 2730 მოსწავლისათვის და საავადმყოფოები 138 საწოლით).

სამწუხაროდ, აღნიშნული ხარვეზები ნაწილობრივ სუბიექტური ფაქტორებითაც არის განპირობებული, რაც დაუყოვნებლივ მოგვარებას მოითხოვს. კერძოდ, აუცილებელია კაპიტალური მშენებლობის გეგმისა და შესაბამისი დაფინანსების უკვე წლის დამდეგისათვის უზრუნველყოფა, რიგი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების დამუშავება, აღრიცხვა-ანგარიშგებიანობის განმტკიცება და ა. შ.

ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი შედეგები განსაკუთრებით მოსახლეობის ცხოვრების დონეში აისახება. ობიექტურ მიზეზებთან ერთად ამ სფეროში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა სოციალური სფეროს დარგების მოუქნელი მუშაობის შედეგიც არის. პირველ რიგში, ეს ვაჭრობის სისტემას ეხება. კერძოდ, შექმნილ ვითარებაში სახელმწიფო ვაჭრობამ და სამომხმარებლო კოოპერაციამ ვერ შეძლეს რესპუბლიკის მოსახლეობის პირველი მოხმარების საგნებითა და აუცილებელი პროდუქტებით თუნდაც მინიმალურად. გარანტირებული მომარაგება და მათი საქმიანობა მხოლოდ ორიოდე დასახელების ნორმირებული სურსათითა და პურით ვაჭრობის ორგანიზაციით ამოიწურა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკის მოსახლეობა ფაქტობრივად კერძო სექტორისა და საკოლმეურნეო-გლეხური ბაზრის ამარაა მიტოვებული. ასეთ ვითარებაში სამომხმარებლო ბაზარს მთლიანად კერძო სექტორი კარნახობს ფასებს.

აღნიშნული მდგომარეობის ოდნავ მაინც განმუხტვის მიზნით, აუცილებელია სურსათისა და სხვა პირველადი მოხმარების საქონლის ნორმირებული წესით რეალიზაციის უზრუნველყოფა.

საგანგაშოა [illegible]ლობის დაცვის სისტემაში შექმნილი სიტუაცია. რესპუბლიკის მოსახლეობა ფაქტობრივად მოკლებულია სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, რაც დანაშაულის ტოლფასია, და დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვს. ამ მხრივ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს კონცერნ „საქნავთობპროდუქტების" ხელმძღვანელობამ და სასწრაფო სამედიცინო სამსახური პირველ რიგში უზრუნველყოს საწვავის საჭირო რაოდენობით.

ამ სფეროში არის ბევრი სხვა მტკივნეული პრობლემაც. მოსახლეობას საშუალება არა აქვს კომერციულ ფასებში შეიძინოს მედიკამენტები. უზომოდ გაძვირდა პაციენტების მომსახურება. გარკვეულწილად ეს არის იმის მიზეზი, რომ ამ ბოლო ხანებში იკლო პაციენტების რიცხვმა სამედიცინო დაწესებულებებში და შესაბამისად იმატა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა შეისწავლოს და გამოვლენილი ფაქტებისა და მიღებული ზომების შესახებ უახლოეს ხანში მოგვახსენოს.

დაფიქრებას მოითხოვს ფასიანი სასწავლებლების ქსელის საკითხი, რომელიც ფაქტობრივად არ არის დაბალანსებული არც სპეციალისტებზე მოთხოვნილებასთან, არც შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან და არც პროფესორ-მასწავლებელთა უზრუნველყოფის დონესთან. თუ დღეს ეს პრობლემა მხოლოდ მატერიალურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, ახლო მომავალში მას შეიძლება სხვა მნიშვნელოვანი სოციალური გართულებები მოჰყვეს.

ერთი სიტყვით, რესპუბლიკაში ფაქტობრივად შექმნილია საგანგებო ეკონომიკური ვითარება, ეს უკანასკნელი კი მოითხოვს შესაბამისი ღონისძიებების გადაუდებელ განხორციელებას. იგულისხმება, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური რეფორმის ხაზით კარგად ურთიერთშეჭრებული და, რაც მთავარია, რეალური და თანამიმდევრული ნაბიჯების გადადგმა მათი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების წინასწარი გათვლით, ეკონომიკაში მომძლავრებული სტიქიურობის ელემენტების დაძლევა და ეკონომიკის მიზანდასახული მართვადობის, რეგულირების ხარისხის გაუმჯობესება. როგორც ჩვენმა, და არა მარტო ჩვენმა, გამოცდილებამ გვაჩვენა, მხოლოდ წმინდა მონეტარული პოლიტიკა, მიუხედავად მისი უდიდესი მნიშვნელობისა, იმ პირობებში, როცა მიკროდონეზე უკიდურესად განუვითარებელია საბაზრო სტრუქტურები და ურთიერთობები, არ არის საკმარისი სტაბილიზაციისათვის და კრიზისის დასაძლევად. ამიტომ, მინისტრთა კაბინეტს უპირველეს ამოცანად მიაჩნია ფინანსური სტაბილიზაციის ღონისძიებების ორგანულად დაკავშირება წარმოების გამოცოცხლებასთან, აღდგენის, სტრუქტურული და მმართველობითი სისტემის კომპლექსური სრულყოფის, საბაზრო სტრუქტურების განვითარების ღონისძიებებთან.

გადაუდებელ ღონისძიებათა შორის დღევანდელ პირობებში მაინც უპირველესია ფულად-საკრედიტო და საფინანსო სფეროს მოწესრიგების, მისი სტაბილიზაციის პრობლემები, რომელთა თანამიმდევრობით გადაუჭრელად შეუძლებელია შეიქმნას ეკონომიკის რეანიმაციის ხელსაყრელი გარემო.

რესპუბლიკაში შექმნილი საფინანსო კრიზისიდან გამოსვლის კომპლექსური ღონისძიებების ცენტრში ფულის საკითხის გადაწყვეტა უნდა დადგეს. ამ ურთულესი პრობლემის რამდენიმე შესაძლო ვარიანტთაგან აქ ეტაპზე რესპუბლიკისათვის ყველაზე მეტად მისაღები ფორმის ყოველმხრივი დამუშავებისა და განხორციელების მიზნით მიზანშეწონილია შეიქმნას სამთავრობო კომისია რესპუბლიკის ეროვნული ბანკის, ფინანსთა და ეკონომიკის, სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა, მეცნიერთა, ასევე, შესაძლებლობის ფარგლებში, უცხოელ ექსპერტთა შემადგენლობით. ამასთან ერთად, მიზანშეწონილია შეიქმნას იმავე პრობლემის დამმუშავებელი სპეციალური არასამთავრობო კომისია.

კომისიებმა უნდა შეიმუშაონ ყოველმხრივ დასაბუთებული და გათვლილი პროექტები ფულის საკითხებზე. საჭიროა განვსაზღვროთ, რა გზას დავადგეთ: რამდენი ხნით უნდა დარჩეს კუპონი ბრუნვაში და ამ პერიოდში როგორ მოვახერხოთ მისი გამაგრება, როდის არის მიზანშეწონილი და შესაძლებელი სრულყოფილი საკუთარი ვალუტის შემოღება და ამისათვის რა წინაპირობებია აუცილებელი, როგორ შევქმნათ ეს აუცილებელი პირობები; გარდაუვალია თუ არა „სამანეთო სივრცეში" პირდაპირი (მანეთის გამოყენებით) შესვლა, თუ შესაძლებელია სავალუტო კავშირში შესვლა და სხვა. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ფული მარტო ნაღდი ფული არ გახლავთ. დღეს ჩვენი საწარმოების უმეტესობა იზოლირებულია რესპუბლიკის გარეთ ანგარიშსწორების შეუძლებლობის გამო. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება დამღუპველია. ამდენად, ხსენებულმა კომისიებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ამ საკითხის მოგვარებაც. მაგრამ ეს კიდევ არ ამოწურავს პრობლემას. იმავდროულად უნდა დამუშავდეს რესპუბლიკის საგადამხდელო ბალანსის გაწონასწორებისა და საგარეო ვალის საკითხები, მოხდეს წინასწარი გაანგარიშებები; სხვანაირად ჩვენი ვალუტის ხანგრძლივ სტაბილურობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამ ეტაპზე უფლება არა გვაქვს, გავიმეოროთ ადრე დაშვებული, თუნდაც იმ დროისათვის გარდუვალი შეცდომები.

ამ თვალსაზრისით, ყოვლად გაუმართლებელია ჩვენი მუშაობის შესუსტება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, ევროგაერთიანებასთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზებთან. ჩვენი მუშაობის ეს მხარე სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

რესპუბლიკაში არსებულ ისედაც მძიმე ფულად-საკრედიტო და საფინანსო მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ვადაგადაცილებული დიდძალი დავალიანების არსებობა რიგ სამეურნეო რგოლებში. მაგალითად, „საქგაზის" დეპარტამენტის სისტემაში ვადაგადაცილებულ დებიტორულ დავალიანებათა საერთო თანხამ ასტრონომიულ ციფრს — 1 ტრილიონ 400 მლრდ კუპონს მიაღწია, „საქენერგოს" სისტემაში — 400 მლრდ, ხოლო „ნავთობპროდუქტებში" — 162 მლრდ კუპონს. „საქგაზის" მიმართ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დავალიანება 145 მლრდ, თბილსრესისა — 580 მლრდ, თბილისის ელექტროცენტრალისა — 21 მლრდ კუპონის ტოლია და ა. შ. ნავთობპროდუქტების ურჩ გადამხდელთა რიცხვში არიან ფოთის ნავსადგური — თითქმის 7 მლრდ, რკინიგზის დეპარტამენტი თავისი სამსახურებით — 19 მლრდ, თავდაცვის სამინისტრო — 6 მლრდ კუპონი და ა. შ.

სპეციალურად უნდა განვიხილოთ გაზისა და ელექტროენერგიის მოხმარებისათვის მოსახლეობის დავალიანებათა საკითხი. იგი „საქგაზის" მიმართ შეადგენს 379 მლრდ კუპონს, ხოლო „საქენერგოს" მიმართ — 200 მლრდ კუპონს. მოსახლეობის დავალიანებათა თანხა სულ უფრო მატულობს. ასეთ პირობებში, ალბათ, საჭიროა ვიფიქროთ — ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი სახელმწიფოს თვითონ ეკისრა ამ დავალიანებათა დაფარვა?

მოგვიანებით, მაგრამ მაინც ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ წარმოადგინა წინადადებანი დებიტორულ დავალიანებათა ურთიერთჩათვლის შესახებ, რასაც უახლოეს სხდომაზე განვიხილავთ და დავამტკიცებთ. ეროვნულმა ბანკმა მკაცრად უნდა გააკონტროლოს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება.

აქვე მინდა შევეხო პრობლემის ერთ ორგანიზაციულ ასპექტს.

დღევანდელ საგანგებო ეკონომიკურ სიტუაციაში სახელმწიფოს ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია განხილულ იქნეს ეროვნული ბანკის ორმაგი — პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტისადმი — დაქვემდებარების საკითხი. ამის გადაწყვეტა უფრო მიზანდასახულსა და ოპერატიულს გახდის თანამშრომლობას, გააუმჯობესებს ეკონომიკური პროფილის სამინისტროებისა და საბანკო სისტემის საქმიანობის კოორდინაციას.

საერთო ეკონომიკური და საფინანსო კრიზისის პირობებში შარშან გრძელდებოდა ფასების ინტენსიური ზრდა. წინასწარი საექსპერტო შეფასებებით, 1993 წლის იანვარ-დეკემბერში რესპუბლიკაში სამომხმარებლო ფასები (საკოლმეურნეო ბაზრებისა და კომერციული სტრუქტურების ჩათვლით) თითქმის 90-ჯერ გაიზარდა, ე. ი. საშუალოთვიურმა ინფლაციამ 45 პროცენტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად ჭარბობს წინა წლის მაჩვენებლებს.

რესპუბლიკაში დღეისათვის არსებული საცალო ფასები უმეტეს შემთხვევაში, უტოლდება, ზოგჯერ აჭარბებს კიდეც (ხორცი, შაქარი, მცენარეული ზეთი, სიგარეტი, თევზი და სხვა) რუსეთში არსებულ საშუალო დონეებს. ეს გარემოება, რესპუბლიკაში საშუალო ხელფასის სიდიდის რუსეთისაგან მრავალჯერადი ჩამორჩენის პირობებში, ქმნის ისედაც მწირი შიგა ბაზრის დაცარიელების საშიშროებას. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ხელფასების, პენსიებისა და სხვ. მოწესრიგების აუცილებლობას. ამასთან, აუცილებელია, წინასწარ გადაწყდეს ვალუტის სტაბილიზაციის საკითხი, რადგანაც დღევანდელ კუპონებში ხელფასების ზრდას უბრალოდ აზრი არა აქვს.

ეკონომიკის სამინისტროს დავალებული აქვს და მინისტრთა კაბინეტს უახლოეს დღეებში წარმოუდგენს წინადადებებს ფასწარმოქმნის პროცესების მართვადობის გაძლიერების, ანტიინფლაციური პოლიტიკის გადაუდებელი ღონისძიებების თაობაზე. ამ წინადადებებში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სამინისტროებსა და უწყებებში, საწარმოებში, გაერთიანებებში, კომერციულ სტრუქტურებში ფასების სამსახურების არსებითი გაძლიერებისა და გაუმჯობესების ღონისძიებანი. სამწუხაროდ, საბაზრო ეკონომიკის ცალმხრივად და ყალბად გაგების გამო, ეკონომიკური სამსახურის ეს ცენტრალური რგოლები, ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში, გაძლიერების ნაცვლად, შესუსტდა კიდეც, რაც ზოგიერთ შემთხვევაში, მათი სრული გაუქმებით გამოიხატა. ამიტომაც არის, რომ ცალკეულ სამეურნეო რგოლებში ხდება პროდუქციის თვითღირებულების, მოგების, აქციზების, დამატებულ ღირებულებაზე გადასახადისა და ფასების შემადგენელი სხვა ელემენტების არასწორად განსაზღვრისა და დამახინჯების ფაქტები.

ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობა, ჩვენის აზრით, სწორად სვამს საკითხს თვით ეკონომიკის სამინისტროში ფასწარმოქმნის სამსახურის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ. შეიძლება ვიფიქროთ, ამ სფეროში სამეცნიერო-კვლევითი და საინფორმაციო ცენტრის შექმნის შესაძლებლობაზეც. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, მეტი ეფექტიანობით გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ რეალურად არსებული შესაძლებლობანი. სრული ძალით უნდა ავამოქმედოთ ფასების კონტროლის მექანიზმი, რასაც ფასების ინსპექციის სამსახური ახორციელებს. დაუძლეველი დაბრკოლებები უნდა შევუქმნათ ფასების თვითნებურ, ყოველგვარ ობიექტურ საფუძველს მოკლებულ და დაუსაბუთებელ, ეკონომიკის სამინისტროსათვის გვერდის ავლით დადგენას მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ პროდუქციასა და მომსახურებაზე.

დღევანდელ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რესპუბლიკის რესურსული უზრუნველყოფის პრობლემების გადაწყვეტა, სახელმწიფო საჭიროებისათვის რესურსების მიწოდების, ექსპორტისა და იმპორტის კვოტირებისა და ლიცენზირების შესახებ სამთავრობო გადაწყვეტილებების უცილობელი შესრულება.

შარშან აღნიშნული დავალებების შესრულება ვერ უზრუნველყვეს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტრომ, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ, თავდაცვის სამინისტრომ (სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოების ხაზით), რამაც სამთავრობო დონეზე დადებული სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებების შესრულებასაც შეუშალა ხელი.

ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროს მონაცემების (11 თვის შედეგები) თანახმად, სახელმწიფოებს, რომლებთანაც 1993 წელს გაფორმებული იყო სამთავრობათშორისო ხელშეკრულებები (უკრაინა, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, მოლდოვა), მიეწოდა: შავი ლითონის ნაგლინი ხელშეკრულებით გათვალისწინებულის მხოლოდ 13,3, ფოლადის მილები — 57,5, ქვანახშირი — 5,8, ფეროშენადნობები — 8,2, ლითოფონი — 15,1, სახარატო დაზგები — 20,6, კოშკურა ამწე — 54,3, სატვირთო ავტომობილები — 7, შედუღების აგრეგატები — 17,7, მინერალური წყლები — 10, ღვინო — 6, ღვინომასალები — 1,8, ჩაი — 34,7 პროცენტი და ა. შ. საერთოდ, არ იქნა მიწოდებული აგროსამრეწველო პროდუქციის გადამამუშავებელი დანადგარები, ავტომობილის მისაბმელები, ტრაქტორები, გაზქურები, გალვანური ელემენტები, ბამბის ქსოვილები, შამპანური, საკონიაკე სპირტი და ა. შ. ხელშეკრულების თანახმად 1993 წელს სულ მისაწოდებელი იყო 604,77 მილიონი დოლარის პროდუქცია, ფაქტობრივად კი მიწოდებულია 100,26 მილიონი დოლარის, ანუ გათვალისწინებულის 16,6 პროცენტი.

ცალკე უნდა აღინიშნოს, თურქმენეთისათვის პროდუქციის მიწოდების 1993 წლის სახელმწიფო ვალდებულებათა შეუსრულებლობა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის გაზით უზრუნველყოფაში. 138,82 მილიონი დოლარის [illegible] ნაცვლად თურქმენეთს მიეწოდა მხოლოდ 46,65 მილიონი დოლარის პროდუქცია, ანუ ვალდებულების 33,6 პროცენტი. მიწოდების ვალდებულებები [illegible] — 11 [illegible], აზერბაიჯანთან — 21,2, მოლდოვასთან — 1,5, სომხეთთან — [illegible], უკრაინასთან — 3,3, [illegible] — 19,2, [illegible] — 8,5 პროცენტით. შესაბამისად, ძალზე მცირეა რესპუბლიკაში რესურსების შემოტანა, გვაქვს დიდძალი ვალი, შეუვსებელია სახელმწიფო რეზერვები, გვიმკვიდრდება არასაიმედო პარტნიორის სახელი.

ალბათ იძულებული გავხდებით, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მათი საკუთრების ფორმის მიუხედავად, ავუკრძალოთ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ პროდუქციის გატანა, სანამ არ შეასრულებენ სახელმწიფო საჭიროებისათვის კვოტებით განსაზღვრული პროდუქციის მიწოდების დავალებებს. ჩვენი დავალებით, ეკონომიკის სამინისტრომ შეიმუშავა და წარმოადგინა წინადადებანი უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო საჭიროებისათვის მიწოდების ახალი კვოტების შესახებ, რომელსაც უახლოეს დღეებში განვიხილავთ და დავამტკიცებთ. ამ საკითხში ჩვენი პოზიცია უკიდურესად მყარი და შეუვალი იქნება. ჩვენ იმას მივაღწევთ, რომ ყველა საწარმო, სახელმწიფო იქნება იგი, თუ კერძო, რომელსაც დავალებული აქვს სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდება, უცილობლად და სრული მოცულობით ასრულებდეს მას.

ანალოგიურ ღონისძიებებს განვახორციელებთ რეგიონების მიმართაც. ყველა სამეურნეო რგოლისა და ტერიტორიული ერთეულის უპირველეს და საპატიო ამოცანად უნდა იქცეს კვოტებით განსაზღვრულ დავალებათა უეჭველი შესრულება, ამ საქმეში ყველა ხელმძღვანელმა — სოფლის ხელმძღვანელი იქნება ის თუ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, უნდა იგრძნოს საკუთარი პასუხისმგებლობა, სხვაგვარად წარმოუდგენელია რაიმე სამეურნეო წარმატებებზე ფიქრი.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შესუსტდა ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური აქტიურობის დონე. საზღვარგარეთთან სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქციის თითქმის 10 პროცენტი შეადგინა, რაც ბოლო 5 წლის მანძილზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

ყოფილი სსრ კავშირის ეკონომიკური სივრცის დეზინტეგრაციამ, მასში შემავალ რესპუბლიკებს შორის საანგარიშსწორებო ურთიერთობებისა და მექანიზმების მოშლამ უკიდურესად შეასუსტა ჩვენი ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური პოზიციები. იმპორტულ საქონელზე ფასების გაძვირებამ დიდად გაუსწრო საექსპორტო საქონლის ფასების ზრდას, რამაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო გააუარესა ქვეყნის ისედაც უარყოფითი საგადამხდელო ბალანსი.

საქართველოს გაწევრიანება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, რუსეთის ფედერაციასთან სავაჭრო-ეკონომიკურ ხელშეკრულებათა გაფორმება გარკვეულ იმედებს სახავს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში არსებული კრიზისული მოვლენების დასაძლევად. იმედი გვაქვს, მივაღწევთ ტრადიციული სამეურნეო კავშირების აღდგენას. მაგრამ მთავარ ამოცანად მაინც გვრჩება ქვეყნის ეკონომიკის კომპლექსურობის დონის ამაღლება, თვითუზრუნველყოფის შესაძლებლობათა მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენება.

გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია ეროვნული ეკონომიკური სივრცის არასასურველი გარეფაქტორებისაგან დაცვის მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელმაც უნდა მოიცვას საბაჟო სისტემის სრულყოფა, კაპიტალის გატანის წინააღმდეგ ბრძოლა, ეკონომიკური ექსპანსიებით მიყენებული ზარალის აღკვეთა და ა. შ.

რესპუბლიკაში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ და კრიმინოგენულ პირობებში სერიოზული შეფერხებებითა და ნაკლოვანებებით, მაგრამ მაინც ხორციელდება რეფორმის სამუშაოები. 1993 წელს გაფართოვდა და დაიხვეწა მისი სამართლებრივი ბაზა; მიღებულია რიგი ფუძემდებლური მნიშვნელობის კანონები და საკანონმდებლო აქტები. 1993 წლის მარტიდან პრივატიზაციის ხაზით პირველი ნაბიჯები გადაიდგა. წლის დამლევამდე პრივატიზებულია 762 ობიექტი; მოქალაქეებს კერძო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცათ სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის 42 პროცენტზე მეტი. ამასთან, აღნიშნულ სამუშაოებს, სამწუხაროდ, თან ახლდა სახელმწიფო ქონების ძარცვისა და „ფარული პრივატიზაციის" პროცესიც, რასაც გარკვეულწილად ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ სამთავრობო სტრუქტურები სათანადოდ ვერ ფლობენ სახელმწიფო ქონების მართვის, დაცვისა და გამოყენების სადავეებს. უფრო მეტიც, სახელმწიფო სექტორში უზრუნველყოფილი არ არის თვით ელემენტარული აღრიცხვაც კი. მრავალი სახელმწიფო საწარმო, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც რესპუბლიკისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციას აწარმოებენ, მთლიანად გაძარცვულია. შეიმჩნევა ობიექტების ხელოვნურად შემცირებულ ფასებში რეალიზაციის ფაქტები, დასახვეწია საპრივატიზაციო ობიექტების შერჩევის, მათი ძირითადი ფონდების აფასების, კომისიების ფორმირების, სხვა მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ღონისძიებების სისტემა. ყოველივე ზემოაღნიშნული კი იწვევს სახელმწიფო ქონების დატაცება-განიავებას, პრივატიზაციის პროცესში სოციალური სამართლიანობის პრინციპების უხეშად დარღვევას. საჭიროა ქონების მართვის სამინისტრო მეტი პრინციპულობით მოეკიდოს ამ საკითხების მოგვარებას.

რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა განისაზღვროს იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების სია, რომლებიც რეფორმის ახლანდელ ეტაპზე აუცილებელია დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში და შემუშავდეს მათი დაცვის, მართვისა და საქმიანობის შესაბამისი ზუსტი რეჟიმი.

საგანგებო ეკონომიკური ვითარება მოითხოვს ეკონომიკური რეფორმების ხაზით კარგად ურთიერთშეჭრებული, რეალური და თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმას მათი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების წინასწარი გათვლით, სტიქიურობის ელემენტების დაძლევას და ეკონომიკის მიზანდასახული მართვადობის, რეგულირების ხარისხის გაუმჯობესებას. მხოლოდ წმინდა მონეტარული პოლიტიკა საკმარისი არ არის სტაბილიზაციისათვის და კრიზისის დასაძლევად. ფინანსური სტაბილიზაციის ღონისძიებები ორგანულად უნდა დაუკავშირდეს წარმოების გამოცოცხლების, აღდგენის, სტრუქტურული და მმართველობითი სისტემის კომპლექსური სრულყოფის, საბაზრო სტრუქტურების განვითარების ღონისძიებებს.

I

ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედებით აგრარული რეფორმაც არ ატარებს თანმიმდევრულ და სისტემურ ხასიათს. იგი სტიქიურად მიმდინარეობს, ხდება ქონების განიავება და დატაცება. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაცია ძირითადად ფორმალურ ხასიათს ატარებს. დღემდე რესპუბლიკაში კვლავაც არსებობს 1200-ზე მეტი კოლმეურნეობა და სახელმწიფო მეურნეობა, როცა მათი გარდაქმნა საბაზრო სტრუქტურებისათვის დამახასიათებელ ორგანიზაციულ ფორმებად ჯერ კიდევ 1992 წელს უნდა დასრულებულიყო. ეს წარმოშობს მრავალ გაუგებრობას და მიწების გაუპატრონებას, რის გამოც, ეს მიწები დაუმუშავებელი რჩება. ამ მეურნეობათა ნაწილი არარენტაბელურია და ტრადიციული ფორმებით მათი არსებობა არ იძლევა რენტაბელური მუშაობის გარანტიას. ამიტომ, საჭიროა, დაუყოვნებლივ, საგაზაფხულო სამუშაოთა დამთავრებამდე გაირკვეს და გადაწყდეს ამ საწარმოთა ორგანიზაციული ფორმის საკითხი. ქვეყნის აგრარულ სექტორში უნდა შეიქმნას მეურნეობის გაძღოლის ისეთი ახალი ფორმები, როგორიც არის ფერმერული მეურნეობანი, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები, კორპორაციები და სხ.

მიწის რეფორმის პირველი ეტაპი მიმდინარეობს რიგი ხარვეზებით, რაც ძირითადად იმით არის განპირობებული, რომ არ არსებობს აუცილებელი იურიდიული ბაზა, ხდება მიწების მიტაცება-დაკავება, გასაცემი მიწის ფართობის ნორმების [illegible], კომლთა კატეგორიების აღრევა, სოფლებს შორის სასაზღვრო დავების წარმოშობა და სხვა ნეგატიური მოვლენები. მიტაცებულია ჩაის პლანტაციების, ვენახის, ხეხილის ბაღების დიდი ფართობები. ოზურგეთის რაიონში, მაგალითად, ასეთი ხერხებით პრივატიზებულია ჩაის პლანტაციების საერთო ფართობის [illegible] პროცენტი.

თელავის რაიონის სოფელ შალაურის ექსპერიმენტულ სან[illegible]გე მეურნეობაში მოსახლეობას მთლიანად დაუნაწილდა [illegible]კალური ვაზის ჯიშების სანერგისათვის განკუთვნილი ფართობ[illegible] ამოიძირკვა და გაიჩეხა ფილოქსერაგამძლე საძირე და სადედე[illegible].

მცხეთის რაიონის გალავნის ექსპერიმენტულ მეურნეობაში მოსახლეობამ თვითნებურად მიიტაცა ფართობები, რის გამოც ჩაი[illegible] საცდელი სამუშაოები. გაიჩეხა 8-წლიანი კაკლის სამრეწველო ბა[illegible].

გორის რაიონის მეხილეობის სკოლის საცდელი სადგურის [illegible]წები უკონტროლოდ განაწილდა. მოსახლეობამ დაიტაცა მრავალწლიანი სტაციონარული საცდელი ნაკვეთები, სასელექციო ბაღები, გაჩეხეს და ამოძირკვეს უხემოსავლიანი ნარგაობები.

მცხეთის რაიონის ძალისის მეთესლეობის მეურნეობაში [illegible]ნოდ გაიცა ელიტური თესლის საწარმოებლად განკუთვნილი ფართობები. ანალოგიური მდგომარეობაა გარდაბნის რაიონის [illegible]ტყოფის საცდელ სადგურში.

დღევანდელი სიტუაციის გათვალისწინებით, საჭიროა განხორციელდეს აგრარული სექტორის სტრუქტურული რეფორმა, რაც გამოიწვევს სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და დარგების შეთანწყობის რაოდენობრივი პროპორციების შეცვლას. კერძოდ, უნდა დაჩქარდეს იმ დარგების განვითარება, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ რესპუბლიკის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საქმეში. აგრარული სექტორის სტრუქტურული რეფორმის შესაბამისად, საჭიროა სასურსათო კომპლექსის გარდაქმნა. იგი უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის სასურსათო იმპორტისაგან ეტაპობრივ განთავისუფლებას.

(დასასრული მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნის მომავალი რეფორმების განხორციელებასა და ეკონომიკის გამოცოცხლებაზეა დამოკიდებული

(დასასრული)

კონომიკის სახელმწიფო რეგულირებაში ანტიმონოპოლიური ლიტიკის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო შარშან, მუშავდებოდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადების ღონისძიებები. მომზადდა და მიღებულ იქნა რესპუბლიკის მინისტრთა ბინეტის რიგი დადგენილებები. დღეისათვის აუცილებელია ამ რთოთ ფართომასშტაბიანი, რეალური პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა, სხვანაირად თავისუფალი საბაზრო მექანიზმების დანერგვა შეუძლებელია.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის დღევანდელი, ისტორიული ეტაპი, ურთულეს და უმძიმეს პირობებში მიმდინარეობს. ჩვენი ქვეყნის მომავალი მთლიანად იქნება დამოკიდებული, რამდენად მოკლე დროში და რამდენად ეფექტიანად შევძლებთ ეკონომიკის გამოცოცხლებას, ხალხის მოთხოვნილებათა შესაბამისად მისი სტრუქტურისა და ორიენტაციის გარდაქმნას.

დღევანდელ სხდომაზე მოვისმინეთ ეკონომიკის სამინისტროს წინადადებები ქვეყანაში კრიზისის დაძლევისა და სტაბილიზაციის პროგრამისა და რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1994-1995 წლების ინდიკატური გეგმის შესახებ, რომლებითაც განისაზღვრება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიმართულებანი, ეკონომიკის ცალკეული დარგების განვითარების პარამეტრები და ამ უკანასკნელთა მიღწევისათვის საჭირო ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემა.

ამოცანა ის არის, რომ პრაქტიკულად შევუდგეთ მიღებული პროგრამებისა და გეგმების, ნებისმიერი გადაწყვეტილების რეალიზაციას. წლევანდელი წელიწადი გადამწყვეტი უნდა გახდეს საბაზრო პრინციპებზე ქვეყნის ეკონომიკის გადაყვანის გზაზე. მაგრამ ეს პროცესი უნდა მიმდინარეობდეს მიზანდასახულად, კომპლექსურად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. მომავალში არ უნდა დავუშვათ ისეთი მდგომარეობა, როცა სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების ერთ უბანზე ვნერგავთ კლასიკური საბაზრო ურთიერთობების ფორმებს, სხვა უბანზე კი ჯერჯერობით სრული უძრაობაა შენარჩუნებული. ვიმეორებ — საბაზრო ურთიერთობებზე ქვეყნის ეკონომიკის გადასვლის პროცესი უნდა გავიაზროთ მთლიანობაში, კომპლექსში და საბაზრო ურთიერთობების ფარგლებში მაქსიმალურად ვმართოთ იგი ამ ურთიერთობებისათვის ზიანის მიუყენებლად.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის აქტივიზაცია აუცილებლად მოითხოვს რესპუბლიკის ყველა სამინისტროსა და უწყების, პირველ რიგში, ეკონომიკური პროფილის სამინისტროებისა და უწყებათა მუშაობის ზუსტ კოორდინაციასა და სუბორდინაციას, ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმის საკითხებში წამყვანი რგოლების გამოკვეთას. ამ თვალსაზრისით, საჭიროა ვიფიქროთ სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა საერთო სისტემაში ეკონომიკის სამინისტროს როლის გაძლიერების აუცილებლობაზე. სწორედ მან უნდა შეასრულოს ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში სახელმწიფოს მაკოორდინებელი ფუნქცია. იგი ზუსტად და დღენიადაგ უნდა ფლობდეს სიტუაციას ეკონომიკური რეფორმის განხორციელების, სამეურნეო ცხოვრების ნებისმიერ უბანზე. იგი მოწოდებულია სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს ეშელონებს განუწყვეტლივ აწვდიდეს დასაბუთებულ წინადადებებს ეკონომიკის ცალკეულ დარგებში სიმძლავრეთა მაქსიმალური დატვირთვის, დარგებისა და საწარმოთა რენტაბელობის უზრუნველყოფის, ახალი სამეურნეო და საწარმოო კავშირების დამყარების, ახალ პირობებში საწარმოთა პროფილის შეცვლის, მოქმედ არარენტაბელურ საწარმოთა დახურვის, გაუქმების, შერწყმის ან ორგანიზაციული გარდაქმნის შესახებ და ა. შ. ეკონომიკის სამინისტრომ უნდა შემოგვთავაზოს სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებსა და სფეროებში, ცალკეულ საწარმოებსა და გაერთიანებებში, სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებში, ავტონომიურ რესპუბლიკებში, ქალაქებსა და რაიონებში ეკონომიკური სამსახურების გაძლიერების დასაბუთებული წინადადებანი, მიაღწიოს და აკონტროლებდეს მათ პრაქტიკულ რეალიზაციას.

სამწუხაროდ, ეკონომიკის სამინისტრო დღეს ამომწურავ პასუხს ვერ იძლევა ამ და სხვა უამრავ აქტუალურ საკითხზე.

მიგვაჩნია, რომ საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების პროცესში უნდა გაიზარდოს და ახალი შინაარსით შეივსოს ეკონომიკის სამინისტროს, როგორც ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მთავარი მმართველობითი ორგანოს, როლი და ფუნქციები. უნდა ვიფიქროთ ამ როლისა და ფუნქციების ეფექტიანი რეალიზაციისათვის საჭირო მექანიზმების შემუშავებასა და დაკანონებაზე.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპების კომპლექსური რეალიზაცია მოითხოვს სტატისტიკისა და აღრიცხვის რესპუბლიკური და ადგილობრივი სამსახურების გამართულ მუშაობას. პირდაპირ გეტყვით: ამ საკითხის მოუგვარებლად წარმოუდგენლად მიმაჩნია დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მშენებლობის წარმატებით განხორციელება. ჯერ კიდევ ვერ ვახერხებთ სტატისტიკური ინფორმაციის მიღებას თვით სახელმწიფო საწარმოებიდან, აღარას ვამბობ, კერძო სექტორზე. „სოცეკონომინფორმის" ოფიციალური ცნობით, 1993 წლის საწარმოო საქმიანობის შედეგების ამსახველი ინფორმაცია კომიტეტს მოაწოდა სამრეწველო საწარმოთა რაოდენობის მხოლოდ 45 პროცენტმა, 732 საწარმოს წლის შედეგების ანგარიში არ წარმოუდგენია.

კერძო სექტორში კი, გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, სტატისტიკური აღრიცხვა საერთოდ არ არსებობს. სახელმწიფომ არ იცის — ვინ, რას და რამდენს აწარმოებს, ვის რა, რამდენი და სად გააქვს, ვის, რა და რამდენი შემოაქვს. ამ საქმეში სრული განუკითხაობა და ქაოსია. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. „სოცეკონომინფორმის" ხელმძღვანელობამ, მთელმა კომიტეტმა მეტი მობილურობა და მოქნილობა უნდა გამოამჟღავნოს და სრულად მოიცვას მთელი ჩვენი სამეურნეო საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვა.

დღეს მინისტრთა კაბინეტი კვლავ სვამს საკითხს „სოცეკონომინფორმის" მისდამი დაქვემდებარების აუცილებლობის თაობაზე. ინფორმაციული უზრუნველყოფის ოპერატიულობის ხარისხის გაუმჯობესებლად შეუძლებლად მიმაჩნია სწორი სამეურნეო გადაწყვეტილების მიღება და, მით უმეტეს, — მისი დროული რეალიზაცია.

ვითვალისწინებთ, რომ დღევანდელი სხდომის მუშაობაში მონაწილეობენ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელები, საჭიროდ მივიჩნიეთ დავსვათ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. იგი შეეხება რეგიონულ პრობლემებს. **ამოცანა ის არის, რომ მივაღწიოთ პოლიტიკურ სტაბილიზაციას და ეკონომიკის განვითარებას რეგიონებში, რათა უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი მოწესრიგება და ეკონომიკური აღმავლობა მთელი ქვეყნის მასშტაბით.**

ეკონომიკური რეფორმების პროცესში სრულად უნდა ვითვალისწინებდეთ ადგილობრივ თავისებურებებსა და შესაძლებლობებს, გონივრულად ვიყენებდეთ რეგიონების ბუნებრივ, ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს, საწარმოო პოტენციალს, ეს რესურსები ჩავრთოთ სამეურნეო ბრუნვაში, ხელი შევუწყოთ მეწარმეობის, პირველ რიგში დოვლათის შემქმნელი მეწარმეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ადგილებზე. დღის წესრიგში მთელი სიმწვავით კვლავ დგას ტერიტორიული და საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების ოპტიმალური შეხამების, მათი ეფექტიანი კოორდინაციის საკითხები.

ამ მიზნების მისაღწევად საჭირო იქნება რესპუბლიკის თითოეულ რეგიონში ღრმად გაანალიზდეს და შეფასდეს სამეურნეო ვითარება, წარმოებისა და სამომხმარებლო ბაზრის მდგომარეობა, დაისახოს კრიზისიდან გამოსვლის კონკრეტული გზები. ყველამ ვიცით, რომ რესპუბლიკის ბევრ რეგიონში ფაქტობრივად მოშლილია სახელმწიფოებრივი მმართველობა, ეკონომიკურმა ქაოსმა და დამნაშავეობამ გააპარტახა მათი მეურნეობა, დაამუხრუჭა და თითქმის შეუძლებელი გახადა ეკონომიკური რეფორმების განხორციელება.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები რეგიონებში ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის, ხოლო სახელმწიფო ცენტრალურმა ხელისუფლებამ, პირველ რიგში მთავრობის შესაბამისმა სტრუქტურებმა, მკვეთრად უნდა გააძლიერონ მომთხოვნელობა რეგიონების მართვისა და მათი ეკონომიკის რეგულირების, ადგილზე ეკონომიკური რეფორმის სწორად წარმართვის, ეკონომიკური სამსახურების აღდგენისა და აქტივიზაციის მიზნით.

აუცილებელია რეგიონების სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების მეცნიერული შესწავლა, წინასწარ განსაზღვრა და დასაბუთება, შესაბამისი პროგრამების შემუშავება, ინდიკატური დაგეგმვის ტერიტორიული ასპექტების გაძლიერება. უნდა ვაღიაროთ, რომ რესპუბლიკაში ამ მხრივ არსებული მდიდარი გამოცდილება და სამეცნიერო პოტენციალი დღეს სათანადოდ არ არის გამოყენებული.

ეკონომიკის სამინისტრომ უნდა მიიღოს საჭირო ზომები რეგიონებში ეკონომიკური სამსახურების აღდგენის, თითოეული რეგიონის მიხედვით ინდიკატური გეგმების შემუშავების, შესაბამისი სამეცნიერო-პრაქტიკული გამოკვლევების გაძლიერებისათვის. ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ და შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის ფარგლებში გადავწყვიტოთ ამ მიზნით მინისტრთა კაბინეტში წარმოდგენილი წინადადებანი, მათ შორის, ეკონომიკის ინსტიტუტის რეგიონული განყოფილებების ბაზაზე ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მეცნიერული კვლევის ცენტრების შექმნის შესახებ.

როგორც ვხედავთ, ქვეყანაში უამრავი ეკონომიკური და სოციალური პრობლემა დაგროვდა. მათი გადაწყვეტა თითოეული სამეურნეო რგოლის თავდადებულ შრომას მოითხოვს. ყველა სამინისტრომ და უწყებამ სწორედ ამ მიმართულებით უნდა გააძლიეროს თავისი საქმიანობა. ამ საქმეში განსაკუთრებით მინდა გამოვყო ჩვენი მეწარმეების, კერძო სტრუქტურების გადამწყვეტი მნიშვნელობა. კარგად ვიცი, თანდათან როგორ იზრდება ამ სფეროს როლი წარმოების საერთო მოცულობაშიც და სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. ამ სფეროს წარმომადგენლებს ვთხოვ, უფრო მეტი წვლილი შეიტანონ სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტაში. ნუ მიწყენთ, თუ ვიტყვი, რომ ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როცა ცალკეული სტრუქტურებისა და კომერსანტებისათვის საერთო-რესპუბლიკური ინტერესები რამდენადმე მნიშვნელოვან საზრუნავს არ წარმოადგენს. ასეთი განწყობილებანი და ტენდენციები უთუოდ უნდა დავძლიოთ და ყველანი დავირაზმოთ ეკონომიკის გაჯანსაღებისა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტისათვის საბრძოლველად, რათა საჭირო გარანტიები შევქმნათ კრიზისის დაძლევისა და ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის.

ინტერვიუ

თურმე აკადემიკოსის ლუკმაც არ არის იოლი...

ამ დღეს ბატონ ივერისთან „საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური კორესპონდენტი „ელოდინეს და მეთხუთმეტე კაცად შევიდა"... ამას დაჩივლებად ნუ ჩამითვლით: ვიცი, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ძალზე მოუცლელია, გადატვირთულია, თბილისში მხოლოდ ნახევარ თვეს ატარებს და ამიტომაც მის მისაღებ ოთახში აუდიენციის მომლოდინენი არ ილევიან; თანაც ლოდინში უსაქმოდ არ ვმჯდარვარ: ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწე ქალბატონმა თავაზიანად გადმომცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის იმ დღევანდელ სხდომაზე ივერ ფრანგიშვილის მიერ წაკითხული მოხსენების — „საქართველოს რესპუბლიკის „გადარჩენის" კონცეფცია-პროგრამის" თეზისები. სიამოვნებით გავეცანი.

ივერ ფრანგიშვილი არის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რთვის პრობლემების ინსტიტუტის დირექტორი, რუსეთის (ადსაბჭოთა კავშირის, უფრო მეც — ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების) ომური ელექტროსადგურების ტომატიზაციის გენერალური კონსტრუქტორი, მოსკოვის ფიზიკაქნიკური ინსტიტუტის პროფეორი და კათედრის გამგე, „რუთში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოების" პრეზიდენტი, საართველოს საინჟინრო აკადემიის ეზიდენტი, საქართველოს რეფორმატორთა კავშირის საპატიო ეზიდენტი, არაერთი საერთაშორისო აკადემიისა თუ ასოციაის წევრი.

შევეცდები ისეთ ვეებერთელა ქტორიას, როგორიც „საქაართველოს რესპუბლიკის" მკითხლები არიან, ბატონი ივერი კი უფრო ახლოს წარვუდგინო ამ „კადრების ფურცლის" მიადამიანი თუ პიროვნებაც ვანაში. გამოვტყდები — ეს ანსჯის ინფორმაცია" მისი უახესი გარემოცვის (მეუღლე, თაშემწე, თანამშრომლები) დახმაებით მოვაგროვე.

აკადემიკოსი ივერ ფრანგიშვი63 წლისაა, ჰყავს მეუღლე, ლბატონი ციალა ღულუნიშვი, ინჟინერ-ენერგეტიკოსი, ვაშვილი არჩილი, ტექნიკის მეცერებათა დოქტორი (სხვათა რის, ამ ახალგაზრდა კაცმა ახან სახელმწიფოს მეთაურის ლიდან მიიღო პირველი „ქარლი" დოქტორის დიპლომი) და ჯერობით ერთი შვილიშვილი თი წლის სეხნია, — ღმერთმა ზარდოს!

ულკეთილი და ყურადღებია, სულ იმის ცდაშია, რითიმე ამოვნოს, არ სჩვევია თავი ებზე მაღლა დააყენოს; როცა კოვში ვართ, დილის ცხრა საიდან საღამოს ათამდე ინსტიტშია, შემდეგ შინ მოსული ს ორ-სამის ნახევრამდე მუობს; შაბათ-კვირასაც უსაქმოდ თიც არ ჩერდება (როგორც დავთ, ლუკმა აკადემიკოსიი იოლი არ არის, — თ. ე.); არს მხატვრული ლიტერატუკითხვა, მუსიკალურია, გაებულია შოპენითა და შუბე; ერთობ მოსიყვარულე პაპა და და ისიც ყველას უყს". (მეუღლე).

კეთილმოსურნე და კეთილგანბილია, აქვს თანაგრძნობის თი უნარი, შესანიშნავად იცის ოვნება. მოსკოვში ყოველი ზავრების წინ უთუოდ მოტოვს ერთობლივი მუშაობისათვის ლობის ბარათს" (თანაშემწე).

ენერგიული და შრომისმოყვრე, მასშტაბურად მოაზროვნე; ოვში, თვით უმაღლეს ეშეებში მაღალი სახელისა და ორიტეტის წყალობით ძალიამარება იქ ჩასულ მეცნიეებს, ეკონომიკისა თუ პოლის დარგის სხვადასხვა რანგის ველ მოღვაწეებს. პირდაპირ ჯეროა, რამდენნაირ და რამ„ქართულ" საქმეს აგვარებს ეთის დედაქალაქში ორკვირია ყოფნის დროს. თავმდაბა, მოხვეჭებით კი არა, მართთავმდაბალი". (ახლო თანამშრომლები).

თავმდაბლობასა და უბრალოებას რაც შეეხება, მეც მინდა აღვნიშნო: რამდენჯერმე ჟურნალისტისათვის ეგებ მისატევებელი მიძალება მომიხდა, რომ როგორმე საკუთარ თავზე „ამელაპარაკებინა..."

— ბატონო ივერ, დღეს თქვენ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე წაიკითხეთ მოხსენება, რომლის მნიშვნელობა სათაურიდანაც მკაფიოდ ჩანს: „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის „გადარჩენის" კონცეფცია-პროგრამა". მის თეზისებს გავეცანი. ახლა ყველგან ხშირად „გადარჩენა" გვესმის, გადამრჩენიც არ გვაკლია... თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ ქვეყნის ხსნა?

— შიმშილისა და სიცივისაგან ხალხის „გადარჩენის", ეკონომიკური" სტაბილიზაციის კონცეფცია-პროგრამა შარშან, ზაფხულის მიწურულს, მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და რეფორმატორთა კავშირის საინიციატივო ჯგუფმა და სექტემბერში გადასცა სახელმწიფოს მეთაურს, რომელმაც ზოგიერთი თეზისი გამოიყენა კიდეც პარლამენტში გამოსვლისას.

კონცეფცია-პროგრამაში განხილულია დაუყოვნებლივ გადასაწყვეტი პრობლემები. საქმე ეხება საარსებოდ აუცილებელი რესურსებით, პირველ რიგში, სასურსათო და სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით მოსახლეობისა და მეურნეობის ელემენტარულ უზრუნველყოფას. წარმოდგენილია გადაუდებელ ღონისძიებათა შემცველი წინადადებები ძირითადი დარგების — მრეწველობის, აგროსამრეწველო, სათბობ-ენერგეტიკის, ტრანსპორტისათვის.

კონცეფცია-პროგრამაში მოცემული ეკონომიკური რეფორმების პრაქტიკული რეალიზაციისათვის აუცილებელია შემდეგი პირობები:

1. მეტად დაძაბული კრიმინალური სიტუაციისა და მაფიოზური სტრუქტურების აღკვეთა საგანგებო რეჟიმის შემოღებით (მაფიოზებს, აგრეთვე კრიმინალურ სტრუქტურებსა და პიროვნებებს რეფორმები თუ დისციპლინა ხელს არ აძლევთ);
2. ძლიერი სახელმწიფო მეთაურის ან პრეზიდენტის რესპუბლიკა და არა პარლამენტური რესპუბლიკა;
3. ხალხის დამრაზმავი მტკიცე დისციპლინა და ხელისუფლებისადმი ნდობის აღდგენა (თუ ის არსებულ მძიმე კრიმინალურ სიტუაციას მოერევა და მოკლე დროში გამოასწორებს, ხალხის თვალში ნდობას აღიდგენს);
4. რეფორმების პირველსავე ეტაპზე ჰიპერინფლაციიდან თავის დაღწევა; ცნობილია, რომ ჰიპერინფლაციის დროს რეფორმების განხორციელება შეუძლებელია.

საერთოდ, უფრო მიზანშეწონილია რეფორმების თანამიმდევრული გატარება: ჯერ კიდევ ეკონომიკურ (საჭმელი!), შემდეგ სულიერ (სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლება) და ბოლოს — პოლიტიკურ დარგში (პარლამენტი, მრავალპარტიულობა, ფართო დემოკრატია).

გარდამავალ პერიოდში რეალიზაციის გაგრძელებაზე უარი უნდა ეთქვას „შოკური თერაპიის" მოდელს, რომელიც საბაზრო ეკონომიკაზე სწრაფად გადასვლას გულისხმობს. ხალხისთვის ერთობ მტკივნეულია და მხოლოდ მძლავრი უცხოური ინვესტიციების შემთხვევაში გამოდგება. ეკონომიკის გარდამავალი პერიოდისათვის უნდა შეიქმნას შერეული, მრავალსექტორიანი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკაზე რბილ, შედარებით ნელ და უმტკივნეულო გადასვლას.

შერბილებული გარდამავალი პერიოდის გამოცხადებისას საჭიროა ჩამოვაყალიბოთ ეკონომიკის პირობითად სამი სექტორი.

პირველი ანუ „გადარჩენის" სექტორის დანიშნულებაა შექმნას პროდუქციის ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც საჭიროა ქვეყნის მოსახლეობის (5,5 მილიონის ჭარაუდით) ფიზიოლოგიურად გადარჩენისათვის (1500 კილოკალორია ერთ სულზე). ამ პროდუქციის შექმნა და განაწილება უნდა მოხდეს საბარათო

წესით და უმკაცრესი სახელმწიფო კონტროლით, რათა ყველამ მიიღოს თავისი ულუფა პური, რძე, ყველი და სხვა პროდუქტები, რომელთა ჯამური ენერგეტიკა იქნება 1500 კილოკალორია (ამ ნორმის ქვევით იწყება შიმშილის ფიზიოლოგიურად შეუქცევადი ავადმყოფობა).

„გადამრჩენმა" სექტორმა უნდა აწარმოოს, თუნდაც პენსიონერისათვის მისაწვდომ ფასებში (5,5 მილიონი X 1500) კილოკალორიის შემცველი აუცილებელი საკვები პროდუქცია, ამასთანავე გათვალისწინებული უნდა იქნას ტრანსპორტით, სათბობითა და სხვა სასიცოცხლო საშუალებებით მინიმალური მომსახურების საჭიროება. ამ სექტორმა პირველ ეტაპზე უნდა გამოიმუშაოს საერთო პროდუქციის 50 პროცენტი.

ეკონომიკის მეორე სექტორი უნდა იყოს რეგულირებადი ბაზრის სექტორი. 300-400 დასახელების პროდუქციიდან სახელმწიფო არეგულირებს 19-20 დასახელების ძირითადი პირველი მოხმარების პროდუქციის ფასებს არა დირექტიული, არამედ ეკონომიკური მეთოდებით (შეღავათიანი კრედიტების გაცემა, შეღავათიანი დაბეგვრა და სხვა). პირველ ეტაპზე ეს სექტორი პროდუქციის დაახლოებით 25 პროცენტს აწარმოებს.

მესამე სექტორი იქნება თავისუფალი ბაზრის სექტორი, რომლის როლი, მნიშვნელობა და წილი ეკონომიკურ რეფორმებთან ერთად თანდათანობით გაიზრდება. აქ ფასები თავისუფალია და მოთხოვნა-მიწოდებით რეგულირდება სახელმწიფოს ჩაურევლად. თავისუფალი ბაზრის წილი მთელ ეკონომიკაში პირველ პერიოდში 20-25 პროცენტით განისაზღვრება. ეს სექტორი ყველაზე ეფექტიანია, რადგან მაქსიმალურად იყენებს ადამიანის პირად ინიციატივასა და დაინტერესებას.

ამ ძირითადი სამი სექტორის გვერდით არსებობს აგრეთვე „ჩრდილოვანი" ეკონომიკის სექტორი, თავის არსითა და მოქმედებით საკმაოდ განსხვავებული უცხოეთის „ჩრდილოვანი" ეკონომიკისაგან: საზღვარგარეთ ასეთი ეკონომიკა უმთავრესად დაკავშირებულია ნარკო და პორნობიზნესთან, აფერასთან, დაბეგვრიდან შემოსავლის დაფარვასთან; ჩვენთან კი მეტწილად გავრცელდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გაყიდვა-დატაცება, ბენზინის, პურის, ფქვილის, სხვა საქონლის მასობრივი სპეკულაცია.

გარდამავალი პერიოდი მოიცავს 3-6 წელიწადს, მისი დამთავრებისას გადავალთ საბაზრო ეკონომიკაზე და „გადამრჩენი" სახელმწიფო სექტორი აღარ იქნება საჭირო.

— თქვენს მოხსენებაში ცალკე პუნქტები ეძღვნება სასიცოცხლო მნიშვნელობის ამ კომპლექსს: სათბობ-ენერგეტიკულს, აგროსამრეწველოსა და კავშირგაბმულობისას.

— სათბობ-ენერგეტიკულიდან დავიწყოთ. აქ „გადარჩენის" ერთადერთი გზა არის ელექტრომოხმარების საგანგებო წესების შემოღება. შემუშავებულია ენერგეტიკის სამეტაპიანი განვითარების კონცეფცია-პროგრამა. პირველი ეტაპი — 1995, მეორე — 2000 და მესამე — 2005 წლამდე. დამუშავებულია მათემატიკური მოდელი და შესრულებულია კომპიუტერული მოდელირება ენერგეტიკის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული ოპტიმალური ვარიანტის მოსაძებნად.

პირველ ეტაპზე (1994-1995 წლები) დამატებით 6 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია უნდა გამომუშავდეს, რისთვისაც, უპირველეს ყოვლისა, თბილსრესის მე-10 და მე-11 ენერგობლოკები უნდა ჩადგეს მწყობრში. განახლდეს არსებული ჰესები, მათი გამომუშავების გასაზრდელად და შემცირდეს დანაკარგები. მეორე ეტაპზე (1995-2000 წლები) კიდევ დამატებით 6 მილიარდი კილოვატსაათი დაგვჭირდება, რისთვისაც ქუთაისის მახლობლად უნდა დაიდგას ბაზისური რეჟიმით მომუშავე 600 მეგავატი სიმძლავრის თბოელექტროსადგური, რომელიც საწვავად ადგილობრივ ტყიბულის ნახშირს გამოიყენებს; უნდა აშენდეს რამდენიმე მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰესი.

აგროსამრეწველო კომპლექსისათვის კონცეფცია-პროგრამაში გვაქვს ძირითადი სასურსათო პროდუქტების მინიმალურად აუცილებელი მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება წლევანდელი წლისათვის. წლეულს მარცვლეულის მოთხოვნილება ფიზიოლოგიური ნორმებით 2 მილიონ ტონას უტოლდება. აქედან რესპუბლიკას შეუძლია აწარმოოს 0,6 მილიონი ტონა, მაშასადამე, უცხოეთიდან შესასყიდია 1,4 მილიონი ტონა. დაანგარიშებულია ხორცისა და ხორცის პროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების, შაქრის, კარტოფილის, მცენარეული ზეთის საჭირო რაოდენობა და შესაბამისი თანხები.

ხორცის პრობლემის შესამსუბუქებლად პროგრამაში რეკომენდებულია შეერთებული შტატების დახმარებით რესპუბლიკაში დაიდგას 40 მეღორეობის თანამედროვე ფერმა ყოველწლიური 100 მილიონი ტონა ხორცის წარმადობით. გათვალისწინებულია, რომ ხორცის ნახევარი, ძვლები და მთლიანად ტყავი რესპუბლიკაში დარჩება, ხოლო ხორცის ნახევარს შეერთებული შტატები წაიღებს მესამე ქვეყნებში გასაყიდად და ხარჯების დასაფარავად. პროგრამაში შემოთავაზებულია წინადადება მებაღეობის პროდუქციით თბილისისა და რუსთავის დასაკმაყოფილებლად.

ვნახოთ, რა სიახლეები გველის კავშირგაბმულობის კომპლექსში. ზოგადად შევნიშნავ, რომ რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ქსელი ერთიანად შეიცვლება, საქართველოს ექნება თანამედროვე კავშირგაბმულობა.

სიახლე იქნება უჯრედოვანი 2 000-ნომრიანი რადიოკავშირგაბმულობის ქსელის შექმნა. პროექტს ამთავრებს შეერთებული შტატების ფირმა, რეალიზება დაგეგმილია წლეულს მაისში, მსოფლიო ბანკის კრედიტით.

თბილისში ფირმა „სიმენსის" ხელშეწყობით დაიდგმება 200 ათას ნომრიანი ახალი ციფრული სადგური 100 ათას ნომრიანი ძველის მაგიერ, რომელთაგან ნახევარი აღარ მუშაობს.

თბილისშივე აშენდება საქართველო-თურქეთის ერთობლივი ქარხანა ოპტიკური კაბელის გამოსაშვებად. პროდუქციის ნაწილი საქართველოს დარჩება, ნაწილი სხვა ქვეყნებში გაიყიდება.

ქუთაისსა და ბათუმში დაიდგმება ახალი ციფრული სატელეფონო საქალაქო და საქალაქთაშორისო სადგური 30 ათასი ნომრით.

ავსტრიული ფირმა „ტელეტრა" დაამონტაჟებს ორ სადგურს თანამედროვე თანამგზავრიანი კავშირგაბმულობისათვის. არის სხვა სიახლეებიც.

— „გადარჩენის" პროგრამაში გათვალისწინებულია რესპუბლიკაში მიღწეული მეცნიერულ-ტექნიკური კვლევის შედეგების გამოყენება და ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაც...

— ცხადია, რესპუბლიკის ეკონომიკის გადარჩენაში დიდი როლი უნდა შეასრულოს მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების სწრაფმა დანერგვამ; ამიტომ ჩვენს მეცნიერთა მიერ დამუშავებული ახალი ტექნოლოგიები, მეთოდები და სხვა მიღწევები ფართოდ არის რეკომენდებული მეურნეობის სულ სხვადასხვა დარგში. საკითხების ნუსხა, რომელსაც ახლა გაგაცნობთ, მართლაც რომ შთამბეჭდავია:

ახალი ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა; ახალი სამკურნალო საშუალებების მიღება-გამოყენება, არატოქსიკური ბიოსტიმულატორების გამოყენებით მარცვლეულის მოსავლიანობის გაზრდა; ბამბუკის პლანტაციების გაშენება და მისგან სამამულო ქაღალდის წარმოების ახალი ტექნოლოგიის ამოქმედება; ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ახალი სამკურნალო წამლების, ვიტამინების ექსტრაქტების წარმოება; ქვანახშირისაგან თხევადი სუსპენზიის (ნარევის) დამზადება და მისი ეფექტიანი გამოყენება და სხვ.

ზოგიერთ საკითხზე ცოტა დაწვრილებით შევჩერდეთ.

ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების სფეროში ელექტროდანადგარებისა და აირის დანადგარებში ელექტროენერგიისა და აირის იმპულსური მიწოდების პრინციპი (ელექტროენერგიისა და აირის მუდმივი მიწოდების ნაცვლად) მათი ხარჯვის ოცდაათპროცენტიან ეკონომიას იძლევა. ის შეიძლება გამოვიყენოთ საოჯახო ქურებში, ელექტროღუმელებში, გაზქურებში, საქვაბეებში მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტით. ეს ახალი პრინციპი უკვე ინერგება რესპუბლიკის საწარმოებში. შეკვეთა სხვა უცხო ქვეყნებიდანაც მივიღეთ.

ჩვენი მკვლევარების მიერ შექმნილი არატოქსიკური ბიოსტიმულატორები საშუალებას მოგვცემს სასუქების პრაქტიკულად გამოუყენებლად გავაორკეცოთ სიმინდის, ხორბლის, სოიის, ლობიოს, შაქრის ჭარხლის, ხახვის, ქინძისა და სხვა ბოსტნეულის მოსავლიანობა და ეკოლოგიურად სუფთა, უტოქსინებო პროდუქცია მივიღოთ. ლანჩხუთის რაიონში შესრულებული მასშტაბური (ასჰექტარიანი) ექსპერიმენტები ფრიად დამაიმედებელია და სხვა ტერიტორიებზეც უფრო ფართო მასშტაბით უნდა გავავრცელოთ.

მესამე მაგალითი, — ქვანახშირის სუსპენზიის მიღება და საწვავ მასალად გამოყენება, რაც რამდენიმე ათეული პროცენტით ამცირებს ნახშირის დანახარჯს და ეკოლოგიასაც აუმჯობესებს (საწვავად მიეწოდება დაფქული, წყალში არეული ნახშირი).

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემების ინსტიტუტი მსოფლიო მნიშვნელობის დიდი კვლევითი ცენტრია. ივერ ფრანგიშვილს მასთან ათობით წელიწადი აკავშირებს: 1964 წლიდან ლაბორატორიის გამგეა, 1970 წლიდან დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 1986 წლიდან — არჩეული დირექტორია. ამ „არჩეულზე" საგანგებოდ უნდა შევჩერდე: თუ მოსკოვში ორიათასკაციანი კოლექტივი ხელმძღვანელად ქართველ კაცს ამჯობინებს ორ რუს მეტოქეს, ხომ წარმოგიდგენიათ, ეს კაცი რაოდენ უნდა აღემატებოდეს მათ პიროვნული, გინდა საქმიანი თვისებებით; და აი, მეცხრე წელიწადია, ივერ ფრანგიშვილი უძღვება ინსტიტუტს, რომელიც სხვათა და სხვათა საქმეთა შორის უზარმაზარი ქვეყნის მთავრობის უმნიშვნელოვანეს დავალებებსაც ასრულებს: ვთქვათ, რუსეთის ეკონომიკის კომპლექსური განვითარებისა და დახვეწის მართვის კონცეფციის შემუშავება, რუსეთში რეფორმების განხორციელებისა და მმართველობის პრობლემატიკა, სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

ინსტიტუტმა არსებობის პერიოდში ასზე მეტი კვალიფიციური ქართველი სპეციალისტი გამოუშვა, რომელთა შორის კიდევ ორი აკადემიკოსია — ვახტანგ ჭიჭინაძე და მინდია სალუქვაძე. მეცნიერ ხელმძღვანელს ივერ ფრანგიშვილს 50-ზე მეტი კანდიდატი და დოქტორი ჰყავს აღზრდილი. ამჟამად მასთან მომუშავე ქართველებიდან მეცნიერებათა დოქტორები ავთანდილ ანუაშვილი, ვლადიმერ ყორყიაშვილი და ალექსანდრე შუბლაძე ლაბორატორიის გამგეები არიან, ხუთი უფროსი მეცნიერი თანამშრომელია, ერთი — დოქტორანტი და რამდენიმე — ასპირანტი.

— ბატონო ივერ! მოგეხსენებათ, ქართველებს არცთუ იშვიათად გვღალატობს ზომიერების გრძნობა. ერთ პატარა ქვეყანაში „დახვავებულია" ამდენი პარტია, უნივერსიტეტი, კომერციული სასწავლებელი, გაზეთი, გენერალი, ბანკი, ტურისტული ფირმა... ახლა აკადემიებს გადავხედოთ: მეცნიერებათა აკადემია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საინჟინრო აკადემია (აღარაფერს ვამბობ უმაღლეს სასწავლებელზე — სამხატვრო აკადემიაზე), სამხედრო აკადემია... რამდენადაც ვიცი, „იმუქრებიან" სამედიცინო აკადემიით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიით... პერსპექტივაში, ალბათ, ლიტერატურისა და ხელოვნების აკადემიაც ილანდება.. ოღონდ ახლა საინჟინრო აკადემიაზე მინდა გკითხოთ, რომლის პრეზიდენტი თქვენ ბრძანდებით, ამართლებს მისი დაარსება?

— საინჟინრო აკადემია წარმომიდგენია, როგორც ფუნდამენტურ მეცნიერებასა და წარმოებას შორის გადებული ხიდი. ხატოვნად რომ ვთქვათ, ფუნდამენტური მეცნიერება ფორმულებით, ახალი პრინციპებითა და მეთოდებით თავდება და შემდგომი ინჟინრული გაანგარიშება, დამუშავება, კონსტრუირება და წარმოებაში დანერგვა ჭირდება. საინჟინრო აკადემიაში გამოიკვეთა რამდენიმე საინჟინრო ცენტრი, რომლებიც ხელს შეუწყობენ წარმოების გამოცოცხლებას და ახალი ტექნოლოგიის დამუშავებასა და დანერგვას. ამ თვალსაზრისით საინჟინრო აკადემია უკვე ასრულებს დადებით როლს.

— ახლა მოგმართავთ, როგორც „რუსეთში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოების", პრეზიდენტს და გთხოვთ გვიამბოთ მის საქმიანობაზე.

— საზოგადოება 95 ათას ქართველს აერთიანებს. მისი მიზანია შეძლებისდაგვარად ეხმარებოდეს ქართველ ხალხს, საქართველოს. ვცდილობთ რუსეთს უკეთ გავაცნოთ ქართული კულტურა, ქართველთა ტრადიციები, სხვადასხვა მიღწევა. საზოგადოების ძალებით ვაწყობთ საქველმოქმედო კონცერტებს, სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს, ფინანსურ ბაზას საზოგადოების წევრთა მიერ შემოტანილი თანხები შეადგენს. ჩვენ დავეხმარეთ რუსეთში ლტოლვილ 10 ათასამდე ქართველს — დაბინავება, სამსახურში მოწყობა, გამგზავრება-გამომგზავრება, რასაც 50 მილიონი მანეთი მოხმარდა. მილიონობით მანეთი დაგვიჯდა ქართული მუსიკალური ფირფიტების დამზადება-გავრცელება. ჩვენივე სახსრებით მოსკოვში გამოვიდა გაზეთი „დემოკრატიჩესკაია აბხაზია"ს ორი-სამი ნომერი, რომლებმაც რუს ხალხს სწორი ინფორმაცია მიაწოდა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე. მოვაწყვეთ და დავაფინანსეთ რამდენიმე ტელეგადაცემა საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ხარჯთაღრიცხვა 100 მილიონ მანეთს აღემატება.

— ბატონო ივერ, ეგებ რამდენიმე სიტყვით შეეხოთ [illegible] პირად მეცნიერულ [illegible] ხომ არ გამოყოფდით [illegible] ბის თქვენს რომელი [illegible] რებით მნიშვნელოვა [illegible]

— საერთოდ, [illegible] ვის პრობლემატი [illegible] საკითხში. მათ [illegible] რმოებების, ორგანიზაციების, დარგების მეცნიერულად დასაბუთებული მართვა, რთული სისტემებისა და ობიექტების ტექნოლოგიური პროცესების მართვა და ოპტიმიზაცია კომპიუტერების გამოყენებით.

ბოლო ხანს ჩემს თანამშრომელთან, მეცნიერებათა დოქტორ ავთანდილ ანუაშვილთან ერთად აღმოვაჩინეთ ხილვადობის ახალი პრინციპი, რის საფუძველზეც მსოფლიოში პირველად შექმნილია „უხილავი" მოვლენებისა და ობიექტების ვიზუალიზაციის კომპიუტერული სისტემა. ჩვენი აღმოჩენა საშუალებას იძლევა დავინახოთ ისეთი საგნები და მოვლენები, რომლებსაც ვერ იჭერენ რადიო და ოპტიკური ლოკატორები და, ჩვეულებრივ, ვერ ხედავს ადამიანის თვალი (მაგალითად, ულტრასპექტრი, ინფრასპექტრი). შექმნილია ისეთი სისტემა და ხელსაწყო — სენსორული გარდამქმნელები, რომ თუ ადამიანის თვალი აღიჭურვება ასეთი ელექტრონულ-ოპტიკური სენსორებით, იგი დაინახავს დღევანდელობისათვის უხილავ საგნებსა და მოვლენებს და თუ არსებობს, „პარალელურ ცხოვრებას". აქ არის კიდევ სხვა, გამორჩეულად ფაქიზი და საინტერესო მომენტები, მაგრამ მათზე საუბარი სხვა დროისათვის გადავდოთ..

ჩემი ბოლო შეხვედრა ვიცე-პრეზიდენტთან 21 იანვარს მოხდა. მეორე დღეს იგი მიემგზავრებოდა მოსკოვში, იქიდან, 24 იანვარს, ტაშკენტში. უზბეკეთის დედაქალაქში 25-26 იანვარს იმართებოდა მეწარმეთა და მესაქმეთა საერთაშორისო კონგრესის წევრთა თათბირი, რომელშიც, როგორც კონგრესის წევრი, მონაწილეობდა საქართველოს დელეგაცია ივერ ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით. თათბირზე განიხილავდნენ იმ ღონისძიებებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში შემავალი რესპუბლიკების საწარმოთა შორის დარღვეული სამეურნეო კავშირების სწრაფ აღდგენასა და ახალი ურთიერთმომგებიანი კავშირების დამყარებას.

მოსკოვში ბატონ ივერის მორიგი გამგზავრების წინა დღეს ვუსურვე ასევე მორიგი ნაყოფიერი „საქართველოს გარე" პერიოდი — ნაყოფიერი მისი ქვეყნისათვის და საერთოდაც...

თამაზ ებანოიძე.

სარედაქციო ფოსტა

დააპატიმრეს, გააშვებინეს, ეძებენ...

94 წლის 7 იანვარს გაზეთ ართველოს რესპუბლიკაში" ქვეყნებულია წერილი სათაურით — „ამერიკა დიდი დეპოა; ან ღიმილით გამოვიდა", სა მოთხრობილია წლეულს, 8 , ცხინვალსა და ამ რეგი სოფლებში საქართველოს პუბლიკის პრემიერ-მინისტრის დეპუტაციას, ვიცე-პრემიერის მენაღარიშვილისა და სხვა ოფიციალური პირების სტუმრობის შესახებ.

რილში აღნიშნულია: ვან გვაწუხებენ ნარკომა. სოფელ ერედვში ახლაც ორი ავტომანქანა, საიდანაც ული საწამლავი ამოვიღეთ, ვინც შიგ იჯდა, პროკურატურას გადავეცით. როგორც ვიცი, ყველანი გაუშვეს".

აღნიშნულ აბზაცს ვეთანხმები, რომ ნარკომანები მართლაც ძალიან გვაწუხებენ, მაგრამ პროკურატურისათვის არავის გადმოუცია არცერთი ნარკომანი და არც ჩვენ გაგვიშვია ვინმე, მოგაწვდით ზუსტ ინფორმაციას ამის თაობაზედ.

1993 წლის 25 დეკემბერს სოფელ ერედვში შინაგან საქმეთა ერედვის განყოფილების მუშაკებმა დააკავეს ცხინვალში მცხოვრებნი ალან ყაზბეგის ძე ბესთაევი, ოლეგ თევდორეს ძე კოტოლოვი და ცხინვალის რაიონის სოფელ ნოგ-ყაუში მცხოვრები გენადი სერგოს ძე კულუმბეგოვი, რომლებიც იყვნენ „ჟიგულის" მარკის ორი ავტომანქანით და ორივე ავტომანქანაზე დამაგრებული იყო ერთი და იგივე სანომრე ნიშნები — 21-06 იორ. მათ ავტომანქანებში აღმოაჩნდათ სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმი" და ზუსტი საფთიაქო სასწორი სპეციალური საწონებით. დაკავებულები წარადგინეს შინაგან საქმეთა ერედვის განყოფილებაში, სადაც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. დაკავებიდან ორი საათის განმავლობაში ერედვის შს განყოფილებაში მძიმე საბრძოლო ჯავშანტექნიკით და სხვა საბრძოლო საშუალებებით მივიდნენ ცხინვალის ადგილობრივი ხელისუფლების, სამშვიდობო ჯარების ოსური და რუსული მხარის წარმომადგენლები, რომლებმაც კატეგორიულად მოითხოვეს დაკავებულთა გათავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ, ეს ფაქტი ახალ დაპირისპირებებს გამოიწვევსო. შინაგან საქმეთა ერედვის განყოფილების თანამშრომელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, სამივე დაკავებული მათ თვითნებურად გამოიყვანეს დაკავების საკნებიდან და წაიყვანეს.

ამჟამად დამნაშავეთა დაპატიმრება სანქცირებულია და გამოცხადებულია ძებნა.

გ. ბაბუცაძე,
ცხინვალის პროკურორი, პირველი კლასის იურისტი.

რედაქციისაგან: ჩვენც სხვა არაფერი გვეთქმის: ნარკოტიკული ნივთიერებების გავრცელებაში ეჭვმიტანილები დააპატიმრეს და გაუშვეს. ახლა ისევ ეძებენ, — მიზეზი არ დაგვისახელებია, მიზეზს ქალაქ ცხინვალის პროკურორი ასახელებს. ეგებ ასეც არის, გამოძიება გაზეთის საქმე არ არის, მაგრამ...

თუ ერედვში მივიდნენ „საბრძოლო ჯავშანტექნიკით და სხვა საბრძოლო საშუალებებით აღჭურვილი ცხინვალის ადგილობრივი ხელისუფლების, სამშვიდობო ჯარების ოსური და რუსული მხარის წარმომადგენლები, რომლებმაც კატეგორიულად მოითხოვეს დაკავებულთა გათავისუფლება", როგორც ბატონი პროკურორი წერს, ის დაპატიმრებულები კარგა დიდი ლაპები ყოფილან და შესაბამისი რეაქციაც უნდა მოჰყოლოდა ამ ქმედებას ჩვენი მხრიდან, რომ ხელიდან არ გაგვეშვა ისინი.

ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ ცხინვალის პროკურორის შემდეგ წერილს ცნობით, რომ ძებნილები დააპატიმრეს.

ინფორმაცია

აქცია პარლამენტის შენობასთან

10 თებერვალს ნაშუადღევს პარლამენტის შენობასთან მივიდა აღშფოთებულ მოქალაქეთა — თბილისის ვარკეთილის მასივის მცხოვრებთა ჯგუფი. როგორც მათ თქვეს, ისინი აქ მოიყვანა უკიდურესად მძიმე სიტუაციამ, რომელიც ელექტროენერგიისა და სასმელი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით რაიონში შექმნილა.

ვარკეთილელებს შეხვდნენ თბილისის მერიის წარმომადგენლები.

გაქურდეს „მედეა“

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, ჯერჯერობით დაუდგენელი თორმეტი ბოროტმოქმედი თავს დაესხა ქუთაისში შალის ქსოვილების კომბინატ „მედეას“. ბოროტმოქმედებმა სამი დარაჯი მუქარით შეიყვანეს საყარაულო ჯიხურში და კომბინატის საამქროდან გაიტაცეს შვიდი ტონა საქსოვი ნართი.

თავს დაესხნენ საგუშაგოს

10 თებერვალს ქარელის რაიონის სოფელ ავლევში განლაგებული ქართული სამხედრო ძალების საგუშაგო პოსტზე მოხდა შეიარაღებული თავდასხმა. პოსტზე მდგომმა ათკაციანმა ჯგუფმა თავდამსხმელები, რომელთა რაოდენობა ოცდაათს აღწევდა, მოიგერია. მსხვერპლი არ არის.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური

ფქვილი ეყოფათ ქალაქელებს...

თბილისში შემოზიდულია ათასი ტონა ფქვილი მოსახლეობაში ნორმირებული განაწილებისათვის. კიდევ ათასი ტონა მალე შემოვა დედაქალაქში. ნავარაუდევია, რომ თებერვლის შუა რიცხვებში დამთავრდება თბილისელებისათვის ფქვილის იანვრის ნორმის გაცემა. ეს შეფერხება, აღინიშნა რესპუბლიკური სასურსათო კომისიის სხდომაზე, გამოიწვია, კერძოდ, საქართველოს ნავსადგურებში ტვირთით სავსე ხომალდების შემოსვლის დაგვიანებამ, მათი დატვირთვასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა.

ფეხბურთი

მოგება მასპინძლებთან

მალტაზე მიმდინარე ოთხთა საერთაშორისო ტურნირის მეორე ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვეს ქართველმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც ანგარიშით 1:0 დაამარცხეს მასპინძლები — მალტის ნაკრები. ერთადერთი გოლი თეიმურაზ ქეცბაიამ გაიტანა. სლოვენიისა და ტუნისის გუნდების მატჩის შედეგია ფრე — 2:2.

ამრიგად, დღეისათვის დანიშნული დასკვნითი შეხვედრების წინ (საქართველო-ტუნისი, სლოვენია-მალტა) სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: სლოვენია — 3 ქულა, ტუნისი და საქართველო — 2-2 ქულა თითოეულს და მალტა — 1 ქულა.

დაზუსტება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში პირველი გვერდის არასწორად დასტამბული ტექსტის პირველ სტრიქონში — „ჟენევაში 1993 წლის 1 დეკემბერს“ ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „ჟენევაში 1993 წლის 1 ნოემბერს“, შემდეგ როგორც ტექსტშია.

მკითხველებს!

როგორც ვიუწყებოდით, „საქართველოს რესპუბლიკის“ 10 თებერვლის ნომერი ელექტროენერგიის გამორთვის გამო ვერ გამოვიდა. მკითხველებისთვის ანაზღაურებას რვაგვერდიანი ნომრით ვპირდებოდით. მაგრამ, ჩანს, „საქენერგო“ გამორთვის გეგმას ჩვენზე ასრულებს და გუშინ გამომცემლობა „სამშობლოს“, სადაც ჩვენი გაზეთი იბეჭდება, რამდენჯერმე რამდენიმე საათით შეუწყვიტა ელექტროენერგიის მიწოდება.

ბოდიშს გიხდით და ვიმედოვნებთ, რომ ამიერიდან მაინც კეთილი თვალით გადმოგვხედავენ „საქენერგოს“ მესვეურები.

ჟურნალისტი იცვლის პროფესიას

რესტორანში რა მინდოდა?!.

... **საგანგებოდ** შეკერილი თეთრი წინსაფარი გავიკეთე, თავზე მაქმანის „დიადემა“ მოვირგე და ახალი თეატრალური კოსტიუმით საოჯახო-სამხატვრო საბჭოს წარვუდგინე.

— ამჯერად ვინა ხარ? —ერთხმად მკითხა სამივე წევრმა.

— ორთაჭალის ბაღში მნახეთ, ვინა ვარ! — გავამძაფრე მათი ცნობისმოყვარეობა და დახვეწილებული „მწვანე ობიექტისკენ“ წასასვლელად აფრინდი.

ერთ-ერთი რესტორნის მესაკუთრემ, გულისხმიერმა და სიმპათიურმა ახალგაზრდამ მომსახურე პერსონალს ჩემი ნამდვილი პროფესია და ერთი დღით მისი შეცვლის მიზანი გააცნო. ოფიციანტი ქალები ამ ინფორმაციას სფინქსის ღიმილით შეეგებნენ.

გაიღო კარი, მკრთალად განათებულ დარბაზში ოთხი ახალგაზრდა შემოვიდა და მაგიდას მიუჯდა.

— მივიდე? — ჩემი ეს კითხვა ერთ-ერთმა ოფიციანტმა უპასუხოდ დატოვა და კლიენტებს დასახარჯად გამიზნული თანხის წინასწარ გადახდა მოსთხოვა, რაზედაც ცივი უარი მიიღო. შემთხვევით ვისარგებლე და მოკამათეთა შორის მშვიდობის მტრედივით ხავფრინდი.

—გვაპატიეთ, მაგრამ ჩვენთან ასეთი წესია, სულზე 25 ათასი მანეთი წინასწარ უნდა გადაიხადოთ, თუ ამდენი თანხა არ დაგეხარჯებათ, წასვლისას ხურდას დაგიბრუნებთ.

ორთაჭალის თანამედროვე ბოჰემის ცხოვრებიდან

— წავიდეთ, ტო, არ გვენდობიან, ჩემი... — კბილებში გამოსცრა წვეროსანმა საკუთარი დედის გინება და დარბაზიდან გავარდა.

რაც მართალია, მართალია, ვერ დავემდურებით თანამედროვე ახალგაზრდებს. ახლა ჩემი თაობის კაცი რომ ყოფილიყო, ალბათ, ჩემს კეთილისმყოფლებს გაიხსენებდა, ესენი კი (რას ვერჩით!) თავის მშობლებს უფრო მეტ პატივს მიაგებენ.

— თქვენი სახელი? —ვიღაც წინსაფარზე წამებღაუჭა.

— შუქურა!

მართალია, შემოსავლის გაყოფის შიშით „კოლეგები“ კლიენტებთან მისასვლელი გზის გადაღობვას მაქსიმალურად ცდილობდნენ, მაგრამ ნურას უკაცრავად, დიალოგები მაინც გაიმართა.

დიალოგი პირველ მაგიდასთან

— შუქურა დეიდა, მოდი ერთი ჭიქა დაგვილიე!

— არა, შვილო, სამუშაო საათებში არა ვსვამ.

— დაგვლოცე, რა!

— დალოცვილები იყავით, შვილო!

— ჩვენს საქართველოს გაუმარჯოს!

— თქვენ თუ ქეიფსა და დროსტარებას გადაყევით და არ გაისარჯეთ, როგორ გაიმარჯვებს?

— რისთვის ვიმუშაო? 60 ათასი კუპონისთვის? ცოლ-შვილი რომ მყავდეს, ხელფასით როგორ უნდა ვარჩინო? აი, ჩემი ტოლები ყაჩაღობენ, ქურდობენ, ნარკოტიკებს იკეთებენ, ლოთობენ. მეც ვსვამ ხანდახან, აბა, რა ვქნა, ფხიზელი თვალით როგორ ვუყურო ამ უკუღმართ ცხოვრებას? გაუმარჯოს საქართველოს!

— რაც შენ ახლა ფული დახარჯე, ოჯახს რამდენიმე თვეს ხომ შეინახავდა?

— დეიდა, მილიციაში მუშაობ?

ლექცია თემაზე — „ახალგაზრდობა — იმედი ხვალის“ —ექვით გაჯერებულ კითხვასთან ერთად ბოთლზე ჩანგლის წკარუნმა ნაადრევად გამაწყვეტინა.

— მოვდივარ, ბატონო! —ავქსენტი ცაგარელის კოხტაიას სიმარდით მეორე მაგიდას მივაწყდი.

დიალოგი მეორე მაგიდასთან

— „ნა ვერტელე“ და „კარეიკა“ მოგვართვი!

— ქართველები ხართ?

— ხო!

— მერე, არ იცით, რომ „ვერტელი“ შამფურია, „კარეიკა“ — ღორის ან ხბოს მკერდის ნაჭერი?

— ვაა, რა მაგარი ხარ! —მომწვანო-მოყვითალო ფერის ყბები გააქან-გამოაქანა თვალებამღვრეულმა ყმაწვილმა და მაგიდის კუთხესთან მიყუდებული ავტომატი შეასწორა.

— გულო, ჩადექ საგულესა, გულო, ჩადექ საგულესა! სმენამ უცბად აღიდგინა „ლონდრედან“ ეროსი მანჯგალაძის მღვდლის სასოწარკვეთილი ინტონაცია და დამფრთხალი მზერა მივაპყარი ტყვიებით დაცხრილულ ჭერსა და კედლებს.

„გემი გაცურდა თეთრი აფრებით“... მიკროფონი პირში ბანანივით ჩაიდო მომღერალმა, ატკაცუნდა ელექტროგიტარა. კლიენტებმა რუსული მანეთები ააფრიალეს, დარბაზში ჩემი „კოლეგები“ თოლიებივით შემოფრთხიალდნენ და მეც გავცურდი პირდაპირ... კუთხეში.

ფოთოლცვენას 52-ჯერ მოვსწრებივარ, ასეთი ფოთოლცვენა კი, ღმერთმანი, პირველად ვიხილე. ამიტომაც უცებ მივიღე ასეთი გადაწყვეტილება: შინ მისვლისთანავე დიპლომებს შავ ჩარჩოში ჩავსვამ და კედელზე გავაკრავ წარწერით: „დავტირით უმაღლეს განათლებას“.

ლირიკული სიმღერა ცეცხლოვანმა საცეკვაო მუსიკამ შეცვალა.

— შუქურა დეიდა, ვიცეკვოთ! „ლეკურის“ საცეკვაოდ გამიწვია. თავაზიანმა ახალგაზრდამ და ჯიბიდან რამდენიმე კუპიური ამოაძრო. მწარე ღიმილით რუსული ფულის შოვნის ერთადერთი შანსი ხელიდან გავუშვი და უნებურად ეკატერინე გაბაშვილის „თინას ლეკური“ გამახსენდა...

რამდენს შიმშილით სული ხდება, რამდენს ავადმყოფისთვის წამლის ფული არა აქვს, ესენი კი... „მაძღარ მღვდელს მშიერი დიაკვანიც მაძღარი ეგონაო“, მაგრამ ნუთუ არავის ყურადღებას არ იპყრობს ეს მკვეთრი კონტრასტი, ნუთუ ან პირველი ან მეორე კატეგორიის ადამიანთა ბედზე სერიოზულად არავინ დაფიქრებულა? თუმცა ფიქრი რა ბედენაა!

მესამე მაგიდასთან

— ახალი ხართ?

— დიახ!

— მეცნობით!

— სხვა რესტორანში ვმუშაობდი...

— ნამდვილად იქიდან მეცნობით!

მეოთხე მაგიდასთან

— ბიცოლა, უნდა გაკოცო! ხომ ხარ ჩემი ბიცოლა?

— აბა, არა?

— ჰოდა, უნდა გაკოცო!

— ბიცოლა გენაცვალოს, ჩემს კოცნაზე იმდენი კალორიები უნდა დახარჯო, რომ ერთ კვირას ვეღარ აღიდგენ. თავზე ხელს ვუსვამ, ვაწყნარებ გალეწილ-განიავებულ პირტიტველა ბიჭს, ჯაყვასავით ვკეცავ და სკამზე ვდებ...

— გეხვეწებით, შინ წაიყვანეთ.

— ნუ გეშინია, წავიყვანთ, დეიდა, აბა, აქ ხომ არ დავტოვებთ?

რას ფიქრობს ახლა დედამისი, შინ რომ არ ეგულება ეს ლაპი. ნეტავ ამდენი ფული რა გზით იშოვნა?

ისევ საცეკვაო მუსიკა, როკავენ ჯიბეგასქელებული სხვადასხვა ეროვნების ოფიციანტები, მუსიკოსები, მეძავები, ჯიბედაცარიელებული, ქორბუდა ქართველები კი სველი პირსახოცებივით სკამებზე გადაფენილან.

მაგიდიდან პირწმინდად იკრიფება ხელუხლებელი ნარჩენი სასმელ-საჭმელი.

— ესენი ჩვენი მუდმივი კლიენტები არიან, — მანუგეშებს „კოლეგა“.

„რა ვქნა, თუ ბედი არ მწყალობს, არ ვიცი, ვის დავაბრალო“... ჟღრიალებს გიტარა, კვნესის მომღერალი.

გამოფხიზლდით, ვიღუპებით! გამოფხიზლდით, თორემ გადავშენდით!

თვალებდათხრილ ლამპიონებჩარიგებულ ქუჩაზე კაცის ჭაჭანება არ არის, გულამოვარდნილი თავისუფლების მოედნისაკენ გავრბივარ. ამ დროს იწყებოდა ხოლმე თბილისში ცხოვრება... ჩემ ქალაქში ვისი უნდა შემშინებოდა!

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?!“.. უეცრად ზურგსუკან, უნისონში აღრიალდა სამი ახალგაზრდა და თავისი ოპტიმისტური განწყობილება გულდამძიმებულ ქვეყანას ავტომატების ჯერით ამცნო.

ათხრილ ტროტუარზე ცხელი გუდრონივით გავიშალე.

რესტორანში რა მინდოდა?...

ლეილა კოშკაძე.

სურათზე: ჟურნალისტი-„ოფიციანტი“ ლეილა კოშკაძე.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

ნაღველი ღიმილსაც აქვს

დაძალება

— ეს ერთი ჭიქა დალიე!

— ვერ დავლევ...

— ვერც ჩემი ხათრით?

— ვერც შენი ხათრით...

— რატომ?

— ვერა ვსვამ...

— კუჭი, გტკივა?

— არა!

— აბა, რა დაგემართა?

— არაფერი, უბრალოდ ვერ მივეჩვიე...

— მთელი საქართველო მიეჩვია და შენ ვერ მიეჩვიე?

— რა ვქნა, ვერ მივეჩვიე...

— დაიგემოვნე მაინც, ეს სხვანაირია..

— რომც მომკლა, ვერა!

— ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, ძმაო, მაგრამ ხანდახან უნდა დალიო,- ზამთარია, ცივა...

— ხომ გითხარი, ვერ დავლევმეთქი...

— შენი საქმისა შენ იცი... ისე, დილით მაინც კარგია...

— არ გეწყინოს, კიდევ შევხვდებით. მერე იყოს...

— რა უნდა მეწყინოს, უშაქრო ჩაია, ორნახადი არაყი ხომ არა!

—აბა, კარგად...

— კარგად!

ახლა ასეთი ცხოვრებაა!..

— რა ქნა ბიჭმა, ჩააბარა?

— არ ჩაუბარებია...

— რაღას აპირებს?

— რა ვიცი, კიდევ უნდა მოემზადოს...

— რაღა უნდა მოემზადოს, ეგეც „დიამატია?“

— „დიამატია“ თუ „ისტმატი“ — მაინც უნდა მომზადება...

— როდემდე? სამედიცინოს მეოთხე კურსზეა, ახლა უნდა ჩაყაროს ყველაფერი წყალში?

—, ნუ ნერვიულობ, კაცო, მაგის თანაკურსელს, ბარე, ცხრას არ ჩაუბარებია...

— ეგ სხვას რას უყურებს, მაგან ჩააბაროს!

— კარგი კარგი, წავა და ჩააბარებს. თუ არ წავა და... შენ წადი, შენ ჩააბარე...

— მე წავიდე, მე ჩავაბარო?

— ჰო, ჰო, შენ წადი, რა გგონია, მამები არ აბარებენ?

— რას, ქალო, შვილების მოთრეულ ავტომატებს მამები აბარებენ პოლიციაში?

— დიახ!

— გადავირევი!

— გადაირიე, რამდენიც გინდა. ახლა ასეთი ცხოვრებაა!

ცოტაც, ცოტაც და!..

— მომაწექი, კაცო, მომაწექი!

— აჰა, გაწვები...

— კიდევ მომაწექი!

—რა, ნეკნები აღარ გენანება?

— თუ გინდა დამამტვრიე, ოღონდ მომაწექი!

— გაწვები, ვერა გრძნობ?

— ცოტაც, ცოტაც!

— ესეც ცოტაც!

— მეტის ონსილა აღარ გაქვს?!

— მაქვს, აბა, არა მაქვს?

— თუ გაქვს, კიდევ მომაწექი!

— აჰა, კიდევ...

— ორი სანტიმეტრიც!

— აჰა, ეს ორი სანტიმეტრიც...

— ემაგრე, შე კაცო, ყოჩაღ!

— რა ყოჩაღ, მომკალი ბარემ, მეტი აღარ შემიძლია...

— უნდა შესძლო!

— რამდენი უნდა შევძლო, დღეში ოთხჯერ გაგონილა?

— რას იზამ, სხვაგვარად ვერ შემოხვალ ამ დაწყევლილ „მეტროს“ ვაგონში!

— აღარაფერი მუშაობს. ესეც თუ გაჩერდა...

— შენ ეგა თქვი და...

ბონდო ბულიაშვილი.

ნატიფი შამათი

რუბრიკას უძღვება საერთაშორისო ოსტატი ბელიმირ კალანდაძე

„გულთმისანი“ მეფე

ჭადრაკში მეფე განსაკუთრებული ფიგურაა. თუ მატერიალურ შეფასებათა სკალაზე შესაძლებელია ყველა ფიგურას მივანიჭოთ გარკვეული მატერიალური „წონა“, მეფისათვის ეს შეუძლებელი ხდება. დებიუტში და მიტელშპილში მეფე საკმაოდ პასიური ფიგურაა და მთელი თამაშის სტრატეგიის მიზანია მისი დაცვა. ენდშპილში მისი ძალა და მოქმედების ასპარეზი ფართო ხდება და ბრძოლის ბედი ხშირად მეფის მახვილგონივრულ მოქმედებაზეა დამოკიდებული. აქ ერთხელ კიდევ უნდა გავიხსენოთ გენიალური კომპოზიტორის შუმანის აზრი: „მუსიკაში, როგორც ჭადრაკში, დედოფალი (მელოდია) უძლიერესია, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც მეფეს (ჰარმონია) ენიჭება.

ახლა ვნახოთ პარტია, სადაც თეთრი მეფე დიდი მახვილგონივრულობით ებმება საჭადრაკო ბრძოლაში (იხ. დიაგრამა № 1).

დ. ბრონშტეინი,



ლ. ლიუბოევიჩი

პეტროპოლისი, 1973 წ.

ალიოხინის დაცვა

1. e4 მf6 2. e5 მd5 3. d4 d6 4. c4 მb6 5. f4 de 6. fe c5 7. d5 e6 8. მc3 ed 9. cd c4 10. მf3 კg4 11. ლd4 კ:f3 12. gf კb4 13. კ:c4 0-0 14. ეg1 g6 15. კg5 ლc7 16. კb3 კc5 17. ლf4 კ:g1 18. d6 ლc8 19. მფe2?! კc5 20. მe4 მ8d7 21. ეc1 ლc6 22. ე:c5! მ:c5 23. მf6+ მფh8 24. ლh4 ლb5+ 25. მფe3!! h5 26. მ:h5 ლ:b3 27. ab მd5+ 28. მფd4! მe6+ 29. მფ:d5 მ:g5 30. მf6+ მფg7 31. ლ:g5 ეfd8 32. e6 fe 33. მფ:e6 ეf8 34. d7 a5 35. მg4 ეa6 36. მფe5 ეf5+ 37. ლ:f5 gf 38. d8ლ და თეთრები იგებენ. პარტია დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს. თეთრი მეფე გაბედულად შეიჭრა დაფის ცენტრში, რათა იქ მიიღოს კაპიტულაციის აქტი: პარტია დიდოსტატ ბრონშტეინის დიდ შემოქმედებით მიღწევად უნდა ჩაითვალოს.



საეტიუდო ხელოვნებაც მდიდარია ისეთი ნაწარმოებებით, რომლებიც მეფის მახვილგონივრულ თამაშს ეძღვნება. დღეს ამოსახსნელად გთავაზობთ ეტიუდს, სადაც თეთრები ყაიმს აღწევენ თეთრი მეფის მოულოდნელი პარადოქსული მანევრებით (იხ. დიაგრამა № 2), ნაწარმოები შესულია საეტიუდო ხელოვნების ოქროს ფონდში.

ხსოვნა

გენერალ-მაიორი გენო ადამია

[illegible] შემდეგ აფხაზეთიდან ჩამოასვენეს და ამ დღეებში დედა თბილისს მიაბარებს სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის თავდადებული მებრძოლის, 23-ე მსროლელი ბრიგადის მამაცი და უშიშარი მეთაურის, გენერალ-მაიორ გენო ადამიას ცხედარს. სოხუმისათვის ბრძოლისას ის ხელთ ჩაუვარდა აფხაზ სეპარატისტებს და წამებით მოკლეს.

მშვიდობიანი პროფესიის ადამიანი, ბატონი გენო, რომელიც არასდროს მჯდარა სამხედრო სასწავლებლის ან სამხედრო აკადემიის ფართო და ნათელი აუდიტორიის მერხებთან, სამშობლოსათვის ძნელბედობის დღეებში ჩამოყალიბდა, როგორც პროფესიონალი-მხედართმთავარი.

პატრიოტი ახალგაზრდებისა და სხვა თანამოქალაქეებისაგან მან შექმნა სოხუმის სახალხო ლაშქარი, რომელიც შემდგომში 23-ე მსროლელი ბრიგადის ძირითადი ბირთვი გახდა. ამ ბრიგადამ თავის თავზე მიიღო მოწინააღმდეგის პირველი დარტყმები და მას დაევალა სოხუმის დაცვის მთელი სიმძიმე.

საბრძოლო პირობებში ბრიგადის უნარიანი ხელმძღვანელობისათვის, პირადი გმირობისა და ვაჟკაცობისათვის გენერალ-მაიორი გენო ადამია სიკვდილის შემდგომ დაჯილდოვდა „ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის“ ორდენით.

სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის, სოხუმის დაცვის ერთ-ერთი ორგანიზატორის, გენერალ-მაიორ გენო ადამიას ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს ხალხის ხსოვნაში.

გ. ყარყარაშვილი, პ. დათუაშვილი, გ. ნიკოლაიშვილი, ვ. გურგენიძე, რ. თავაძე, თ. დუმბაძე, ვ. ძაარაია, შ. უბაძე, ჯ. შუბურიძე, მ. ელბაქიძე, გ. ურაშვილი, თ. ცხაკაია, ა. ჯავახიშვილი, ნ. მუსერიძე, დ. სოხაძე.

რევაზ წერეთელი

მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო-მეთოდური სამმართველოს უფროსის მოადგილე, მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრის პროფესორი რევაზ ივანეს ძე წერეთელი.

წავიდა კაცი, რომელსაც შეეძლო მიტევებაც და შენდობაც, იგი გამოირჩეოდა საქმის სიყვარულით, შრომისმოყვარეობით, პრინციპულობით.

რეზო წერეთელმა მთელი თავისი სიცოცხლე ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს შეალია. მისი მეცნიერული მოღვაწეობა კი მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის პროცესების შემუშავებასთან არის დაკავშირებული და ემთხვევა ქართული მანქანათმშენებელთა სკოლის წარმატებებისა და საყოველთაოდ აღიარების პერიოდს. მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით შემუშავდა და განხორციელდა ციფრული პროგრამული მართვის სალარავი ჩარხებისათვის გაუმჯობესებული ადაპტური სისტემის თეორიული საფუძვლები და კონსტრუქცია.

აქტიურად მონაწილეობდა სამამულო და საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სიმპოზიუმებში; დაკავშირებული იყო დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის და პრაღის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრებთან.

რეზო წერეთელი ჩინებული სპეციალისტი, შესანიშნავი მეგობარი, მეოჯახე და მამა იყო. იყო და აღარ არის ამ ქვეყნად ყველასათვის საყვარელი კაცი, რომელსაც სახეზე ეწერა სიმართლე, პირდაპირობა და პატიოსნება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი; მექანიკა-მანქანათმშენებლობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექცია; მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრა.

არჩილ ფირცხალავას ხსოვნის საღამო

ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნომ მიიღო ლიტერატურული პრემიების მიმნიჭებელი კომისიის წინადადება იმის თაობაზე, რომ პოეტ არჩილ ფირცხალავას მიენიჭოს (გარდაცვალების შემდეგ) გამოჩენილი ლირიკოსის ტერენტი გრანელის სახელობის პრემია.

გამომცემლობა „ლაშარი“ მკითხველს მიაწოდებს ტერენტი გრანელის პრემიის პირველი ლაურეატის რჩეულ პოეტურ ნაწარმოებებს.

ა. წ. 12 თებერვალს, შაბათს, დღის 1 საათზე, თბილისის განათლების სამმართველოს სხდომათა დარბაზში (ლერმონტოვის ქ. 8, მეორე სართული) გაიმართება არჩილ ფირცხალავას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. დასწრება თავისუფალია.

სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თანაგრძნობას უცხადებს ინსტიტუტის თანამშრომელს თამარ შენგელიას მამის

გიორგი ნიკოლოზის ძე შენგელიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი, სასწავლო სამმართველო, მექანიკა-მანქანათმშენებლობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი და მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრის პროფესორი, სასწავლო სამმართველოს უფროსის მოადგილე

რევაზ წერეთელი

---

12 თებერვალს სპორტის სასახლეში საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს ფედერაცია და საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის საუწყებო-პროფკავშირულ ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციის „ლოკომოტივის“ კიოკუშინკაი კარატეს რესპუბლიკური სპორტული სკოლა „ორბი“.

ატარებენ ბავშვთა ტურნირს კონტაქტურ კარატეში. „ნორჩი რაინდები“.

ტურნირზე მოწვეულები არიან კარატეს სხვადასხვა სტილების: ჯიოშინმონ, ვადო-რიუ, გოჯუ-რიუ, და კლუბი ჯიქა-ს ბავშვთა ნაკრები გუნდები. დასაწყისი 10 საათზე.

ერთად უნდა ვიბრძოლოთ!

ვინ იტვირთავს თქვენს ცოდვას?!

შედეგიანი გამოდგა შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი დიდი მასშტაბის ოპერაციაც. ამჯერად, [illegible] რაიონში, ნოქაურში თელაველი მეღვინეები აღმოჩნდნენ, მათ დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვია-წამალი და ასაფეთქებელი ნივთიერებები ჩამოერთვათ. დანაშაულიც რომ არ იყოს, მეღვინეები იარაღს, აგრეთვე ასაფეთქებელ ნივთიერებებს, ამონალს, შინ ინახავდნენ, რასაც შეიძლება მთელი ოჯახის სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო. ოპერაციის პერიპეტიებზე დაწვრილებით უახლოეს დღეებში გიამბობთ.

პოლიციელები ანკესზე და „ყარაბახას“ ბენეფისი

თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი დღე-ღამეს ასწორებს ქვეყანაში წესრიგისა და კანონიერების აღსადგენად, ზოგიერთ თანამშრომელს ასევე დღე-ღამე არ სძინავს თავისი ანგარებითი მიზნების მისაღწევად, ჯიბის გასასქელებლად.

საიდუმლო არ არის, რომ სამინისტროს მთელ სისტემაში დაწყებული თვითწმენდის პროცესს ერთ-ორ თვეში არ შეუძლია რეალური შედეგების მოტანა. ეს უდავოდ ძალზე შრომატევადი და ხანგრძლივი საქმეა — პოლიციაში ხომ ბოლო წლების განმავლობაში ათობით უღირსი და გამორჩენის მანიით შეპყრობილი ნაძირალა მოხვდა.

ამბობენ, უარესზე უარესი არ დაილევაო.

ამ ბოლო ხანს განსაკუთრებით თბილისის ნაძალადევის რაიონის შინაგან საქმეთა მე-3 ქვეგანყოფილების ზოგიერთი თანამშრომლის საქციელი გვაკვირვებს და გვაშფოთებს, ჯერ იყო და, მკვლელისა და ყაჩაღისაგან დიდძალი ფულის გამოძალვის ფაქტზე წაასწრეს ამ ქვეგანყოფილების რამდენიმე მუშაკს. მათ პოლიციელისა და ყოველი პატიოსანი მოქალაქისათვის შეუფერებელი საქციელის გააზრება, ტყვიასავით მძიმე ცოდვების მონანიება ციხეში მოუწევთ. ეს ამბავი თითქოს დავივიწყეთ და ამ ქვეგანყოფილების უკვე სხვა თანამშრომლების არანაკლებ არაკაცური საქმიანობის შესახებ შევიტყვეთ.

ვინ იფიქრებდა, მოსახლეობის ბინებზე ყაჩაღურ თავდასხმებსა და სხვა არანაკლებ საშიშ დანაშაულთა ჩადენაში ქვეგანყოფილების ყოფილ უფროსსაც რომ ამხელდნენ. 34 წლის „შეფი“ ზურაბ სიგუა, 26 წლის ინსპექტორთან, პოლიციის კაპიტან პაატა აბულაძესა და ერთ-ორ სხვა თანამშრომელთან ერთად „მუშაობდა“. მათ შავ საქმეებში სხვადასხვა დანაშაულისათვის რამდენჯერმე ნასამართლევი სამოქალაქო პირი და ახლობლებიც ჩაეთრიათ. ოთხი თვის წინათ თბილისელ ნანა მამაცაშვილის ბინაში ნაძარცვ-ნაყაჩაღარი ძვირფასეულობის ნაწილი, ნივთმტკიცებების სახით, თან აჰლავს საქმეს.

...ეს კაცი, ვინმე ალეკფერ იუსუპოვი, მეტსახელად „ყარაბახა“, თბილისში რუსთაველის პროსპექტზე ცხოვრობდა. მან ორ დაუდგენელ ამფსონთან ერთად, ფირმა „ორდუსტარის“ მთავარ ბუღალტერს გიორგი ყალაურს 600 ამერიკული დოლარი წაართვა. ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს ოპერჯგუფმა დააკავა საშიში დამნაშავე. ყაჩაღს ბინაში ავტომატური იარაღი ცხრა მჭიდით, ორი ხელყუმბარის დეტონატორი და ზიშტ-დანა აღმოაჩნდა.

ასე ინახავენ იარაღს შინ ადამიანები, რითაც თავს და გარშემომყოფთ დიდ საფრთხეს უქმნიან. ადვილი წარმოსადგენია, რა ცეცხლი უტრიალებთ გულში ნაძალადევის რაიონში, გოგიბერიძის ქუჩაზე მცხოვრებ 40 წლის შალვა წიკლაურისა და ვაზისუბნელ 20 წლის ზვიად აფციაურის ახლობლებსა და ნათესავებს. ისინი ცეცხლსასროლი იარაღით თამაშს შეეწირნენ — ოჯახში, გაუფრთხილებლობით, ხელყუმბარები აუფეთქდათ.

ამიტომაც არის, რომ ჩვენი ხალხი დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვისა და ტარების აღსაკვეთ ყოველგვარ ღონისძიებას.

მართალია, პარლამენტმა დღემდე ვერ შეძლო „იარაღის შესახებ“ კანონის მიღება, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ვისაც როგორ გაუხარდება, ისე ატრიალოს ეს ყოველ ნაბიჯზე სიკვდილის მთესველი „ინსტრუმენტი“. ყველამ უნდა იცოდეს, რომ მოქმედი კანონმდებლობაც არ არის დიდად ლმობიერი და კეთილმოსურნე იმათ მიმართ, ვინც უკანონოდ ატარებს და ინახავს იარაღს.

ასე რომ, ნუ ეთამაშებით ცეცხლს, სახიფათოა!

ოღონდ, ყურს ნუ მოაჭრით!

ერთხანს შენელდა, მაგრამ ახლა კვლავ გახშირდა მოქალაქეთა ბინების ძარცვა „ურჩ“ პატრონთა არაადამიანური წამების შემდეგ.

ჩუღურეთის რაიონში მცხოვრებ, 65 წლის ალბერტ ნახაპეტიანს დიდხანს ემახსოვრება შეიარაღებული ყაჩაღების „სტუმრობა“. მათ მოხუცი ჯერ აწამეს — დაათუთქეს, ნეკნები ჩაუმტვრიეს, ყური მოაჭრეს და შემდეგ გაძარცვეს.

ტყიბულელ ლევან ქათამაძის ოჯახის წევრებს კი ყაჩაღებმა მხოლოდ ცემა „აკმარეს“, სამაგიეროდ, ყველაფერი წაიღეს, თუ რამ ხელთ მოხვდათ.

გარდაბნელი იზა მახმუდოვა ავტომატიანმა მოძალადეებმა გაბაწრეს...

ზუგდიდში, საბჭოს ქუჩაზე, ივანე იაკოველევის ოჯახს თავდამსხმელებმა ეზოდან შეატყობინეს მოსვლა — პირდაპირ ფანჯრებს ესროლეს. არავინ რომ არ მიეგებათ, კარები შეამტვრიეს, მაგრამ რა ნახეს, სახლის პატრონი მოეკლათ — შეშინდნენ და იქაურობას გაეცალნენ.

მიმბაძველები?...

ფულის გამოძალვის მიზნით, ადამიანთა მოტაცება, დღემდე მხოლოდ ქართველთა პროფესია მეგონა. თურმე ნუ იტყვით, აზერბაიჯანელებიც გვბაძავენ.

ეს ოთხი თვის წინათ მოხდა. ბოლნისში მცხოვრებმა აზერბაიჯანული ეროვნების ყაჩაღებმა — ჯალალ და აიდინ მამედოვებმა, აგრეთვე ნიაზალ ალახვერდიევმა სელიმხან მამედოვი მოიტაცეს. მათ ტყვეს ხუთი მილიონი მანეთი, ერთი მილიონი კუპონი და 300 ამერიკული დოლარი „შეაწერეს“.

ახლა, ამ რეგიონში მოქმედი ბევრი ჩვენებური ყაჩაღური ჯგუფის წევრებივით, ისინიც წარდგებიან სასამართლოს წინაშე.

ფულის გამოძალვისა და ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზაციის ფაქტზე დამნაშავეები ზუგდიდშიც დააპატიმრეს. ლალი დარსალია აქაურია, დანარჩენები — დავით მარანგია, მურთაზ გიგინეიშვილი და კონსტანტინე როდონაია ოჩამჩირელი [illegible] არიან.

საფლავები არ წაბილწოთ!...

საბურთალოს სასაფლაოზე დიდი ხანია, რაღაც გამოუცნობი მოვლენები ხდება, თუმცა საფლავთა მძარცველებიც თუ შემოეჩვეოდნენ აქაურობას, არ მეგონა.

ბორის სარჩიშვილმა და ტრისტან მასხარაშვილმა ერთ-ერთი საფლავიდან მარმარილოს ჯვარი მოიპარეს. — კაცს ციხეში იმის გამხელა მაინც არ უნდა შეგრცხვეს, თუ რისთვის „ზიხარ“!

საფლავი, ისევე როგორც ყველა ეროვნების ადამიანისთვის, ებრაელისთვისაც წმიდათაწმიდაა.

რამდენიმე დღის წინათ, ორთაჭალაში ებრაელთა სასაფლაო წაბილწეს და გაძარცვეს.

ამ ამბავმა ებრაელთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია.

ისიც სათქმელია, რომ ბევრი ჩვენი არაკეთილმოსურნე მსგავს ფაქტებს ქართველ-ებრაელთა შორის შუღლისა და მტრობის ჩამოსაგდებად იყენებს. ახლა საქმე გახსნილია. არაკაცები, სხვათა შორის არაქართველები, გამოვლენილი და დაპატიმრებული არიან.

კლავთ, ქურდობთ, ყაჩაღობთ, ადამიანებს იტაცებთ, აუპატიურებთ, — საფლავებს, ერთადერთ წმიდათაწმიდა ადგილებს, ჩვენსა და თქვენს — ყველას საბოლოო განსასვენებელს, ნუღარ წაბილწავთ მაინც!

• • •

თბილისში, კვირას, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობ ვითარებაში, ავტომანქანაში ორი პოლიციელი მოკლეს, მათ შორის, ერთი ეკონომიკურ დამნაშავეობასთან მებრძოლი სამსახურის თანამშრომელი იყო.

ბათუმში კი ხელვაჩაურის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლები დააპატიმრეს. რევაზ და კობა მუთიძეებმა, მევლუდ ჯაფარიძესთან ერთად, ბათუმის საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე ქობულეთელ შაინიძეს 25 ათასი მანეთი და ექვსი დოლარი გამოსძალეს.

— ერთობ გავრცელებული და დამაფიქრებელი შემთხვევაა...

P.S. სამწუხაროდ, წინა წერილში — „ზამესში მამლებმა იყივლეს“, დასანანი ფაქტობრივი უზუსტობა მოხდა. შეცდომით ვწერდით, რომ თენგიზ ფრანგულაშვილის ეზოში „ტოიოტასთან“ ერთად „ვოლგაც“ იყო. იმ დღეებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერჯგუფმა მართლაც გამოავლინა გაზ-2410, რომელიც ოდესღაც პრეზიდენტყოფილ ზვიად გამსახურდიას ემსახურებოდა; ოღონდ ავტომანქანა „ვოლგა“ იპოვეს სოფელ გლდანში, ვინმე აბუაშვილის, და არა ზამესში — ფრანგულაშვილების ეზოში, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით.

ზაურ მაქარაძე.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 89.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი